



ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru



№418 (477) 14-28 ნოემბერი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო შახი 50 თეთრი
სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრუნად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ვნა – ააქი შენიცა

ჰაბლავ ჭიკაშვილი: კოლიტოლოგ უბლანდის ნაშრომიდან გამოედინარა

ბ8.3



ალექსანდრა ჭაჭია: ღმერთა შინა ბეიწყალოვა, რათა თაობიდან თაობაშდა დაგვემუშავებინა და გვესარგებლა შინი ნაყოფით, გავრამ ღმერთის ნაწყალობაეის გაყიდვის უფლება არ გვაქვს

ბ8.2



გივი სომხიშვილი: ქაჯების საზვიომო შეყრილობის მცდელოვა

ბ8.6

თენგიზ ბ8.7 კუბლაშვილი: ტელეკრატიის მარნუსებში



ბორის დავითაია: ბ8.8 ფუცუ ღებუაქე- ფულარია — 130



“მოიზიდა და ბ8.5 მოკალი” ფაროსანა გვიტევეს!

მეგის ქარდავას ბ8.8 წინააღმდეგ საქართველოში 9 სისხლის სამართლის საქმეა აღქრული



სათუნა ბობია: ბ8.9 ალექსეევსნა



ლავრენტი ბერიკა — საბჭოთა კავშირის ცილდანამებული ბერიკი

ბ8.4



მანანა ნოზაქა: თანამედროვე ქართველი მეგლუქები

ბ8.11

ღაერთა მინა გინეალოა, რათა თაოზიან თაოზაღა ღაზეაშუაპეაინა და გეოსარგებლა მისი ნაყოფით, მაგრამ ღაერთის ნაწყალოგაინის გაყიდვის უფლება არ გვაქვს

ღამოუკიდებლობის გამოცხადებიდან უკვე 26 წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ პრობლემები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას 1991 წლიდან აწუხებდა, დღესაც მოუგვარებელია, მეტიც – უფრო დამძიმდა.

დღეს ქართველი ერი, მართლმადიდებელი ეკლესია, ეროვნული ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოგვიყვანა, გააფორმებულ თავდასხმას განიცდის დასავლეთის მიერ წაქეზებული უღრმელობებისგან, რომლებიც ცდილობენ, ქვეყნისთვის ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემებისგან, როგორც არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დემოგრაფიული კრიზისი, უცხოელებისთვის მიწის მიყიდვა, უმუშევრობა, უცხოელების მოძალბა თუ ქართველების ემიგრაცია, ყურადღება გადაიტანონ თითქმის განუყოფელი პრობლემები – ქალების სექსუალურ შევიწროებაზე, ოჯახურ ძალადობაზე, ე.წ. სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვაზე, და ერთ ეროვნული ფასეულობების უარყოფისა და დასავლეთისგან თავისმოხვეული ე.წ. ფასეულობების დამკვიდრების პროცესში ჩათრიონ.

დღეს ქართველი ერი არა მხოლოდ სულიერი გადაგვარების, არამედ ფიზიკური განადგურების პირასაა. 2002 წელს საქართველოში 4.371.534 ადამიანი ცხოვრობდა, 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით კი – 3.713.804 ადამიანი, ანუ 12 წელიწადში საქართველოს მოსახლეობა 657.730 კაცით შემცირდა. 2003-2014 წლებში საქართველოდან უცხოეთში წავიდა და იქ ერთ წელზე მეტია, ცხოვრობს დაახლოებით 750 ათასი კაცი. ამას ემატება უცხოელების მოძალბა, რომლებიც ისედაც მცირემიწიან საქართველოში მიწებს ყიდულობენ და სახლდებიან.

შედეგად, როგორც ქართველი მეცნიერები ამბობენ, **“დღეს მიწის ყიდვა-გაყიდვა სრულად თავისუფალ ბაზარზე მინდობილია მსოფლიოს მხოლოდ ერთ ქვეყანაში – საქართველოში”**. ქართველი საზოგადოების უდიდეს ნაწილს მიაჩნია, რომ მიწა უცხოელებს არ უნდა მიეყიდვოდეს, რადგან უცხოელი საქართველოში მიწას იმპორტით ყიდულობს, რომ მერე უფრო ძვირად გაყიდოს, რაც სპეკულაციური ოპერაციაა და ქვეყნის ეკონომიკისთვის სასარგებლო არ არის; ან ყიდულობს იმისთვის, რომ თავისიანები ჩამოიყვანოს და დაასახლოს, რაც საქართველოს მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს უწყინის საფრთხეს. იმ საფრთხეზე, რომელიც ემუქრება ისედაც ტერიტორიაზე მოძარცველ და დემოგრაფიული კატასტროფის პირას მდგომ ქვეყანას, ცნობილი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია ზუსტად 2 ათეული წლის წინათ მიგვითითებდა.

აი, რას ამბობდა ის 1997 წლის დეკემბერში გაზეთ **“საქართველოსთვის”** მიცემულ ინტერვიუში:

“ქართველი კაცისთვის მიწა ღვთის ბოძებული სიმდიდრეა. ეს სიმდიდრე არ შეიძლება ვაჭრობის მიზნით გამოიყენებოდეს. მიწამ ადამიანს შემოსავალი დახარჯული შრომისა და დაღვრილი ოფლის საფასურად უნდა მისცეს. ამასთანავე, ღმერთმა მიწა, ერთ თაობას კი არა, მთელს ერს უბოძა, ერი კი მომავალ, ჯერ არდაბადებულ თაობებსაც მოიცავს. ამიტომ დღეს მცხოვრებ ადამიანთაგან არავის აქვს უფლება, განაგებდეს იმას, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის”.

* შეუძლებელია, არ დაეთანხმო ბატონ ალექსანდრეს, რადგან ისედაც მცირემიწიან საქართველოში, რომლის ტერიტორიაც, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჩათვლით, სულ 69,7 ათასი კვ.კმ-ია, არ შეიძლება ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი – მიწის უცხოელებისთვის მიყიდვა, გადაწყვიტოს ერთმა თაობამ, როგორი ბრძეტიც უნდა იყოს ის. არადა, დღეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 5-5,5%, ანუ 50-55 ათასი ჰექტარი მიწა უცხოელების საკუთრებაა.

კიდევ ერთი ამონარიდი ალექსანდრე ჭაჭიას 20 წლის წინანდელი ინტერვიუდან:

“მიწის შესახებ კანონის განხილვის პერიოდში ქართველი გლეხები, ანუ ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ამუშავებენ მიწას და რომლებისთვისაც ქალაქელ

“რეფორმატორებს” ამ მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა (ყოველ შემთხვევაში, ასე გვიხსნიან ამ კანონის მიღების აუცილებლობას) სურთ, დაქინებით სთხოვდნენ ხელისუფლებას, არ მოქცეულიყო ასე, რადგან ხვდებოდნენ, რომ ეს კანონი მხოლოდ ზიანს მოგვაცემდა, მაგრამ ჩვენმა “განათლებულმა”, “სწავლულმა” მინისტრებმა გლეხთა მოსაზრება მათი “ჩამორჩენილობის”, “ველურობისა” და “არაცივილიზებულიების” გამოვლენად ჩათვალეს. მათი ლოგიკა ხომ ასეთია: ამერიკასა და კანადაში ნანახი ჰყავთ მიწის მფლობელი ფერმერები; რადგან ამერიკელები და კანადელები “ცივილიზებული” ხალხია, ე.ი., საქართველოშიც მათ მსგავსად უნდა მოქცეულიყო. გარდა ამისა, თუ არ იქნება კანონი მიწის გაყიდვის შესახებ, საფალტო ფონდი კრედიტებს არ გამოყოფს, ხოლო თუ კრედიტები არ იქნება, რაღა დაიტაცონ? მიწის შესახებ კანონის თავს მოხვევის მიქანიზმი “კლასიკურად” პრიმიტიული იყო. გერმანიაში მიავლინეს რომელიღაც ახალგაზრდა იუსტიციის სამინისტროდან, რომელმაც იქ მოქმედი კანონის ტექსტი ჩამოიტანა, თარგმნეს ეს ტექსტი ქართულად (ისიც შეცდომებით) და აამოქმედეს პროზაგანდისტული მანქანა ლოზუნგით: ასეა მოწოდებული ცივილიზებული გერმანიაში და ასევე უნდა მოვაწყოთ ჩვენც, თუ გვსურს ცივილიზებული ვიყოთ. ნუთუ ნაკლებ ცივილიზებულია პოლანდია, სადაც ფერმერებს მიწა იჯარით, ამეკვიდრეობითობის უფლებით უძღვევიათ, ან ისრაელი, სადაც მიწა სახელმწიფოს ეკუთვნის და მისი დამუშავების კოლექტიური ფორმებია მიღებული (კობუცები)? სხვათა შორის, ეს ორი პატარა ქვეყანა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ეფექტიანობით არც ერთ მოწინავე ქვეყანას არ ჩამოუვარდება. დასავლური პრინციპების ძალდატანებით ტრანსპლანტაციის, საერთაშორისო საავალტო ფონდის რეკომენდაციებისადმი მორჩილების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები დამღუპველია არა მხოლოდ თანამედროვე საქართველოსთვის, არამედ ქართველი ერის მომავალი თაობებისთვისაც. ასეთი გადაწყვეტილებების რიცხვს მიეკუთვნება პარლამენტის მიერ მიღებული კანონი მიწის შესახებ, რომელიც მის კერძო საკუთრებაში გადაცემას ითვალისწინებს. მიწის ყიდვა-გაყიდვა საქართველოში, ქვეყანაში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა სიღატაკში იძულება და ფიზიკური გადარჩენისთვის იბრძვის, შეუძლებელია ქართველი ინტერესებს უმსახურებოდეს. კანონში არსებული დეზუბლება უცხოელების მიერ საქართველოში მიწის ყიდვის აკრძალვის შესახებ ისეთი უსუსურია, რომ მასზე დაპარაკიც არ ღირს. ანალოგიური აკრძალვა პოლონეთშიც იყო მიღებული, მაგრამ, როდესაც უცხოელების მიერ ცრუმადგიური პირების მეშვეობით მიწის შესყიდვის პროცესმა გარკვეულ დონეს მიაღწია, ფაქტობრივად მფლობელებმა უკმაყოფილება გამოხატეს და საერთაშორისო საავალტო ფონდმა პოლონეთისგან აკრძალვის გაუქმება მოითხოვა, რაც სემმა დაუყოვნებლივ შეასრულა კიდევ, ასე მოხდება საქართველოშიც”.

* დასავლური პრინციპების ძალდატანებით გადმოტანაზე, საერთაშორისო საავალტო ფონდის რეკომენდაციებისადმი მორჩილების მიზნით მოხდა და ამ რეკომენდაციების შედეგად მიღებულ დამღუპველ გადაწყვეტილებებზე ალექსანდრე ჭაჭიას შემდეგ სხვა ექსპერტებიც ალაპარაკდნენ. აი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭიას კიდევ ერთი გაფრთხილება, ამჯერად გაზეთ **“საქართველო და მსოფლიოს”** (№20 (207), 5-11 ივნისი, 2013 წ.) ფურცლებიდან: “თუ გახსოვთ, ყოველთვის გამოვდიოდი მიწაზე კერძო საკუთრების შემოღების წინააღმდეგ, მომეხვედა მაგალითები რიგი ქვეყნებისა, რომლებიც ამ მხეში გაებნენ, ვარწმუნებდი საზოგადოებას, რომ გაპარტახებულ ქვეყანაში კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწა გახდება ღარიბი გლეხისთვის ერთადერთი, მაგრამ მკვდარი კაპიტალი და ის აუცილებლად შეეცდება მის გაყიდვას, ხოლო ყიდვას შეძლებენ მხოლოდ უცხოელები. ჩემი ოპონენტები აცხადებდნენ, რომ ეს არის “ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს პრაქტიკა” და, “თუ ჩვენ ვეროპაში გვინდა”, უნდა ვიყოთ

ასეთივე ცივილიზებული. მთავარი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ ეს იყო საერთაშორისო საავალტო ფონდის მოთხოვნა და მის მიერ დაქირავებული საქართველოს მთავრობის წევრები და საზოგადო მოღვაწეები არწმუნებდნენ ერს, რომ ეს სწორი გადაწყვეტილებაა, რომელიც ქვეყნის სოფლის მეურნეობას “საბჭოთა ჩიხიდან” გამოიყვანს. ეს ასფალტზე გაზრდილი “ექსპერტები” არწმუნებდნენ საზოგადოებას, რომ, თუ კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობებს გააუქმებდნენ და მიწას გლეხებს კერძო საკუთრებაში დაურიგებდნენ, მაშინ მადლიერი და გახარებული გლეხობა გამორჩეული ენთუზიაზმით დაამუშავებდა მას, მოსავლიანობა ათმაგვად გაიზრდებოდა და ყველა იქნებოდა ბედნიერი და კმაყოფილი. საინტერესოა, რომ თავად გლეხები სხვა აზრისანი იყვნენ, მაგრამ “ექსპერტები” ამას მათი “ჩამორჩენილობითა” და “საბჭოთა მენტალიტეტით” ხსნიდნენ. მასსოვ ტელერეპორტაჟი კახეთიდან, რომელშიც ჟურნალისტმა კითხა მოხუც გლეხს, რას გააკეთებდა იგი, როდესაც მიწას საკუთრებაში მიიღებდა. გლეხმა დაღონებულმა შესხდა მას და უპასუხა: “გაყვიდი, შვილო, თუ ვინმე იყიდის. რით ან როგორ დავაშუშავებ?”. ჩვენს “ცივილიზებულ” ექსპერტებს არ ესმოდათ, რომ თავად მიწა გლეხისთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. ღირებულებას წარმოადგენს მოსავალი და მისი რეალიზაციის შესაძლებლობა. ხოლო რათა მიიღო მოსავალი, მიწა უნდა დაამუშავო, ამისთვის საჭიროა შესაბამისი ტექნიკა, საწვავი, სასუქი და ა. შ. თუ ეს ყველაფერი გლეხს არ გააჩნია, მაშინ მიწაც არ სჭირდება და იგი ეცდება მის გაყიდვას; ხოლო მცირემიწიანი საქართველოს პირობებში ეს ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში ჩვენი ერი დაკარგავს საკუთარ მიწაზე უფლებას. მიწაზე კერძო საკუთრების შემოღება არის დანაშაული არა მხოლოდ მცირემიწიანობის მიზეზით, არამედ იმიტომაც, რომ ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს და ერი არაა მხოლოდ დღევანდელი თაობა, არამედ – წინა და მომავალი თაობებიც, ერთად აღებული. ერის არცერთ თაობას არ აქვს უფლება, გაყიდოს ის, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის. ღმერთმა მიწა გავაყვალა, რათა თაობები თაობადი დაგვეშეშებინა და გვესარგებლა მისი ნაყოფით, მაგრამ ღმერთის წყალობის გაყიდვის უფლება არ გვაქვს. თავის დროზე ძალიან გამიკვირდა, რომ ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ გამოთქვა პროტესტი მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის თაობაზე”.

* თუ ხელისუფლება კვლავაც განაგრძობს ტერიტორიაშემოდარცველი საქართველოს მიწის უცხოელებისთვის მიყიდვას, იმის გათვალისწინებით, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობას მიწის დასამუშავებლად სახსარი არ აქვს და ლუკმაპურის ფულის საშოვნელად უცხოეთში გადის, საქართველოში ქართველები მალე უმცირესობა ვიქნებით, მიწას კი უცხოეთშიღვლები დაეპატრონებიან.

ალექსანდრე ჭაჭია ქართველი ერის გადარჩენის გზებზეც მიუთითებდა: “ქართველმა საზოგადოებამ უნდა განსახდროს ეროვნული ღირებულებებისა და პრიორიტეტების სისტემა. 15 წლის წინათ შევიმუშავე და გამოვაქვეყნე “საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია”, რომელშიც ჩამოვყალიბე ქვეყნის ეროვნული ინტერესები, მიზნები და ამოცანები განვითარების გარდამავალ პერიოდსა და პერსპექტივაში. მთავარ მიზნად ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისგან და “ხეობრივი დევრადაციისგან დაცვა მიეინიე. მაშინვე დავასახევე ლოზუნგი პატრიოტული ძალებისთვის – “ქართველობის გადარჩენა!” შევარდნაძემ და მისმა კარის ინტელიგენციამ, შემდგომში კი სააკაშვილმა და მისმა უნდამ მე “ნაციონალისტი” და “კრემლის რუპორი” მიწოდეს, პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც თავის თავს “ოპოზიციას” ეძახდნენ, მკვეთრად დაგმეს ჩემი “ანტიამერიკანიზმი” და “ანტიევროპიზმი”. დღეს ის ჩემი ლოზუნგი კიდევ უფრო აქტიუალურია, თუმცა, შესაძლოა, უკვე გაქვინივია – თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი განაგრძობს ზურაბ ჟვანიას ბოღვითი

განცხადებით ხელმძღვანელობას: “მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი”. სააკაშვილი და მისი ცხვირმოუხოცავი თანამზრახველები 10 წელი უდებდნენ ხალხს თავში, რომ საქართველო “ბრუნდება” თვითონ, რომ ჩვენ ვეროპული საზოგადოების განუყოფელი ნაწილი ვართ და ა. შ. ამისთვის ჩამოწყავდათ აქ ვიღაც ევროპელი მასხარები – მესამეხარისხოვანი ქვეყნების პრეზიდენტები, ევროპარლამენტარები, მოედნებზე სამარტყვიანი შოუებს დგამდნენ. საქართველო არასოდეს ყოფილა ევროპის ნაწილი და ევროპა არასოდეს თვლიდა საქართველოს თავის ნაწილად. ევროპულმა კულტურამ, ევროპულმა ღირებულებებმა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში შემოადგინა რუსეთიდან. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში “თერგდალეულთა”, დიდი ქართველი განმანათლებლების დამსახურებით, ეს პროცესი გააღვივდა. მაგრამ მაშინ ევროპა სწრაფად ვითარდებოდა, ევროპული ღირებულებები იყო ჭეშმარიტი პროგრესული ღირებულებები განათლებაშიც, მეცნიერებაშიც, ხელოვნებაშიც, ტექნიკაშიც, წარმოების ორგანიზებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. დღეს ევროპა მძლავრად დეგრადირებს. ევროპული სახელმწიფოები აღარ არიან დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები თავისი ეროვნული ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ხეობრივი ნორმებით. უმრავლესობის ნება – დემოკრატის საფუძველი – აღარაფერს წვევს. იგი შეცვალა საგარეო პოლიტიკაში აშშ-ისა და საერთაშორისო კაპიტალის ნებას, სამინაოში – “უმცირესობათა” მოთხოვნებმა. მულტიკულტურალიზმის პოლიტიკამ და მცდელობებმა, მომხდარიყო მიღობობით მიგრანტის ინტეგრაცია, კრახი განიცადა. კომფორტი განუბიერებელი ევროპელები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მომხარებაზე, რომლებმაც დაივიწყეს ქრისტიანული პოსტულატები და მიეჩვივნენ “უმცირესობათა უფლებების” დაცვას, დაუცველები აღმონდნენ ეროვნულად და რელიგიურად ერთსულოვანი მიგრანტების სათემოების უხეში ზეწოლის წინაშე, რომლებიც დაქინებით და აგრესიულად ახვევენ თავს ევროპას საკუთარ ნორმებსა და ქვეყის წესებს. ევროპულ ერებს, თუ მათ გადარჩენა სურთ, არ აქვთ სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დაუბრუნდნენ ეროვნულ სახელმწიფოებს და რადიკალურად შეცვალონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ საკუთარი მოსაზრებები” (გაზეთი “საქართველო და მსოფლიო”, №19 (206), 29 მაისი – 4 ივნისი, 2013 წ.).

* როგორც ხედავთ, ალექსანდრე ჭაჭიას პოლიტიკური პროგნოზები საქართველოში პროცესების განვითარების შესახებ, რომლებიც ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, არ გაითვალისწინა, ხელმიწვევით ზუსტი აღმონდა – დღეს ქართველ ერს თავს ახვევენ ე.წ. დასავლურ ღირებულებებსა და ფასეულობებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის ოჯახის კულტსა და ეროვნულ ტრადიციებს, უტევს მართლმადიდებლობას, როგორც ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების უკანასკნელ ბასტიონს. დასავლური თანამედროვე ღირებულებებისადმი გაუაზრებელი თავყვანიცემით ერი გადაგვარების გზას დადგა. დღეს ახალგაზრდა თაობის დიდ ნაწილს ქართული მამაპაპური ტრადიციების დაცვა ჩამორჩენილობად მიაჩნია, დაბალია შობადობის, განათლებისა და სოციალური დაცვის დონე, დიდია მიგრაცია და, შესაბამისად, ერი გადაშენების პირასაა. ამიტომ, თუ გვინდა, გადავრჩეთ ფიზიკურად და სულიერად, ენა, მამული (მიწა) და სარწმუნოება უნდა შევიინარჩუნოთ.

მთამზადა
ბიორბი ბანაშილაძე

ცნობისთვის: მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 6 ქვეყანაში არ არის მიწის თავისუფალი ბაზარი. ეს ქვეყნებია: სამხრეთი კორეა, კუბა, ვენესუელა, ტაჯიკეთი, კონგო და უკრაინა. ხოლო ისეთ ქვეყნებში, როგორც არის ესტონეთი, ბულგარეთი, პოლონეთი, ავსტრია, შვეიცარია, ახალი ზელანდია და სხვ. სხვადასხვა შეზღუდვა დაწესებული მიწის შეძენაზე. ხორვატიაში, სერბეთში, ისრაელსა და დიდ ბრიტანეთში კი უცხოელი მიწას ვერ იყიდის.

უმჯობესების ნაშრომები და მომდევნო წელი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ა.წ. 27 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა გერმანელი პოლიტოლოგის ანდრეას უმლანდის ნაშრომი, რომელშიც გაანალიზებულია უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას პერსპექტივა ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. პოლიტოლოგის მიერ შემოთავაზებული ვარიანტები, არაფრით განსხვავდება მისი ევროპელი კოლეგების ვარიანტებისგან, რომლებიც შეფარულად თუ ღიად გვიმტკიცებენ რუსეთთან მომავალი საფრთხის თაობაზე და აქედან გამომდინარე თავდაცვითი ღონისძიებების გატარების შესახებ.

ნაშრომის ავტორი ისეთივე ბაცილით არის დაავადებული, როგორც ცხელი (იშვითი) გამოცდილების გარდა) მისი დასავლელი კოლეგა. ნაშრომში აშკარად ჩანს თანამედროვე რუსეთის ცალმხრივი შეფასების, ცხადია ნეგატიურის, მაგალითები, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან პარტიკულური უმლანდი მიჰყვება იმ პროპაგანდისტულ გზას, რაც აშშ-ს და მისი ქვეშევრდომების, ევროკავშირის წევრის სახელმწიფოების ხელისუფლებებმა დასახეს – რუსეთის არაობიექტური შეფასებით, საკუთარი პოზიციების განმტკიცებისათვის.

უმლანდი ვერაფრით შეძლებდა მიდინარის საწინააღმდეგოდ ცურვას, ვინაიდან მიუხედავად დასავლური „დემოკრატიის“, ასეთს ათავისუფლებენ ხომღმე და პრობლემებს შეუქმნიან. უმლანდისა და მისი დასავლელი კოლეგებისთვის გაცილებით იოლია, თანაც ხელისუფლებათა მხრიდან წახალისებული, რუსეთის ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიება. მათგან რა მიდის?! და ამით დანტერეკებული მკითხველისთვის თავგზის აბნევა.

უმლანდი, ცხადია, შედეგებზე მოგვიტოვებს და, აქედან გამომდინარე, რაღაც გეგმებსაც გვისახავს, მაგრამ არაფერს ამბობს ამ შედეგების გამომწვევ მიზეზებზე. ერთ-ერთი და მე ვიტყვით უმთავრესი არის ნატოს აღმოსავლეთით გაფართოვება, მიუხედავად არაერთი დაპირებისა, რომ ამას ადგილი არ ექნებოდა.

დაპირებები კი გორბანოვ-შეგარდნადის დროს გაიცა დასავლეთის მხრიდან, კერძოდ აშშ-ს, რასაც ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაცია ისე, როგორც გუშინდელი, თავხედურად უარყოფს.

დიპლომატიაში ხშირად გამოიყენება მხარეთა შორის სიტყვიერი შეთანხმება, რომელიც თაობიდან-თაობაზე გადადის და ისეთივე ძალა აქვს, როგორც წერილობითი, თუმცა წერილობითი – დოკუმენტია, სიტყვიერი კი – საქმეში ვერ ჩააქვრება.

ის, რომ ასეთ სიტყვიერ შეთანხმებას ჰქონდა ადგილი, გასულ წელს, საიდუმლოების მოხსნის შემდეგ აუხადა ფარდა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, რომ აშშ-ს მაშინდელი ადმინისტრაცია და გერმანიის მთავრობა, გერმანიის გაერთიანებისთვის, ვალდებულდნენ იღებდნენ ნატოს აღმოსავლეთით არ გაფართოების თაობაზე.

არადა, გორბანოვ-შეგარდნადის გულუბრყვილობამ და დასავლეთისადმი ნდობამ გამოიწვია ყოველივე დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში ნაციონალიზმი ნაკლებად იყო მოხალღმადელი ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება. დღეს რა გვაქვს?

რუსეთის სახელმწიფო მიზანმიმართული ნატო და აშშ-ს სამხედრო კონტრაგენტი – მიმე საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი, სამხედრო წვრთნები და მუდმივი განცხადება რუსული აგრესიის შეკავებისა და დაკავშირებით. არ იქნებოდა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება და არ იქნებოდა ბელარუსში სამხედრო წვრთნები.

უმლანდი ხეიმოყვანილ ფაქტს არ განიხილავს, მხოლოდ შედეგი გამოაქვს საჯაროდ, თან უსაფრთხოების საერთაშორისო სტრატეგიის ექვს მიმართულებას უსახავს უკრაინას, საქართველოს, მოლდოვას. უახლოეს წლებში განმავლობაში (5-15 წელი) – **“რამდენ ხანსაც, რუსეთის აშკარადი რეჟიმი იარსებებს”**.

უმლანდის ნაღვაწი მნიშვნელოვანია თვალის გასახედად და შექმნილი ვითარებიდან შესაბამისი დასკვნების გამოსტანად. ავტორი პესიმისტურად არის განწყობილი, რაც გახეული უდავოდ არ უნდა აძლევდეს ნაშრომის ოპტიმისტური სათაურით – **“მხოლოდ ევროპისკენ, სხვა გზა არ გვაქვს”** – გამოქვეყნების საშუალებას.

მივევთ ნაშრომს: **“როგორც ჩანს, უკრაინის, საქართველოს და მოლდოვას უსაფრთხოების მდგომარეობა უახლოეს წლებში ისეთი სახით შენარჩუნდება, როგორც დღესაც და შესაბამისად მათი საერთაშორისო სტატუსიც მნიშვნელოვნად არ შეიცვლება. ...**

უკრაინისა და საქართველოში პოპულარულია ისეთი წარმოდგენები, რომ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით თუ იარაღის დახმარებით, შესაძლოა ისეთი ძლიერი გავლენა, რომ კრიტიკულ სიტუაციაში მათ ექნებათ უნარი თავიდან აიცილონ ან მოიგერიონ რუსეთის მსხვილ-მასშტაბიანი შეტევა. ასეთი წარმოდგენები მხოლოდ სასურველის სინამდვილედ წარმოსახვის მცდელობაა”.

პოლიტოლოგის მოსაზრება რეალობას შეესაბამება და ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. რუსეთთან გამკლავებას არათუ უკრაინა-საქართველო ვერ შეძლებს, არამედ ნატოც. რუსეთში გატარებული სამხედრო რეფორმამ ძირფსვიანად შეცვალა ის, რაც იყო. ჯარი აღჭურვა თანამედროვე იარაღით, რომელთაგან ზოგიერთს ბადალი არ ჰყავს მსოფლიოში.

რუსეთი მილიარდობით დოლარის სამხედრო იარაღს ჰყიდის მთელს მსოფლიოში, რითაც მან (სამხედრო იარაღის გაყიდვამ) ენერგომატარებლების ექსპორტს გაუსწრო და მეორე ადგილზე გადავიდა. პირველზე – სასოფლო-სამეურნეო პროდუქტითაა. რაც არ უნდა გაიჭაჭოს საქართველო და დასავლური იარაღის შექმნაში მილიარდობით დოლარი ხარჯოს (რაც მას არ გააჩნია), ის ვერ გაუტოლდება რუსეთს – ბირთვული იარაღის მქონეს.

ასე, რომ სრულიად გაუმართლებლად მომეჩვენა ყოფილი თავდაცვის მინისტრის მიხედვითი დასკვნები ფრანგული სარაკეტო სისტემის შექმნის თაობაზე. რუსეთთან და არა მარტო მასთან, ჩვენი მთავარი იარაღი დიპლომატიური მოლაპარაკება უნდა იყოს. მოსალაპარაკებელ მაგიდასთან მსხდომთათვის მთავარი ჭკუა-გონება, განსწავლულობა და არა იარაღის უღარუნი.

რაც შეეხება საკუთარ ძალებში თვითღარწმუნებას – არახალია. განა 2008 წლის ომის წინ საქართველოს მედიასივრცეში გამოსული **“სამხედროები”** დაბეჯითებით არ აცხადებდნენ – როსტოვამდე ჩავატაო?

“სამივე, ისეთი ქვეყნები არიან, რომლებიც ყველაზე მეტად უნდა იყვნენ დანტერესებული რუსეთთან სამართლიანი და ყოვლისმომცველი ზავის დადებით, მაგრამ ეს ვერ დაეხმარება მათ მთავარი პრობლემის – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში. როგორც ჩანს, მოსკოვი დასავლეთს დათმობებს მოსთხოვს – მაგალითად, რომ საქართველოსა და უკრაინას დიდი ხნის განმავლობაში ნატოსა და ევროკავშირში ნუ მიიღებთ”.

შემდეგ ავტორი წერს, რომ ამგვარი შეთანხმებით რუსეთი ყირიმს არ დააბრუნებს და არც აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან და დნესტრისპირეთთან არ შეწყვეტს მხარდაჭერას. რაც შეეხება დონბასს – სათანადო შეთანხმების მიხედვით, რუსეთი თავის სამხედრო ფორმირებებს და სამხედრო დაქირავებულებს გაიყვანს. ვერ გავიზიარებ ავტორის ვარაუდს, ვინაიდან არ ეფუძნება რეალობას. ყირიმის რუსეთის ნაწილია – რუსეთის კანონებით და ყირიმში ჩატარებული რეფერენდუმის თანახმად, რომლის დროს მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ არა უკრაინასთან, არამედ რუსეთთან ყოფნა არჩია. დონბასში არავითარი რუსული სამხედრო ფორმირებები არ არის, რის შესახებაც ხმამაღლა ითქვა თვით დასავლელი პოლიტიკოსების მიერ.

რაც შეეხება სამხედრო დაქირავებულებს, სრული შესაძლებლობაა, რომ ისინი იქ იყვნენ, რაც არ არის გასაკვირი. თუ ამერიკელი და ნატოელი სამხედრო სპეციალისტები, აგრეთვე უცხოელი დაქირავებული მეომრები უხვად არიან უკრაინის მხარეს, გასაკვირი არ უნდა იყოს მათი ყოფნა, მითუმეტეს რუსების, დონბასელთა მხარეს.

“ბუდაპეშტის 1994 წლის მემორანდუმზე ხელმოწერისას, რომლითაც უკრაინა მიუერთდა ბირთვული იარაღის გაფრცხვლებლობის შეთანხმებას, რუსეთმა ივალდებულა, რომ პირველ სტეპზე უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა მოგვიანებით საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო”.

რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯი

უდავოდ მიუთითებს საერთაშორისო ხელშეკრულების უგულვებლყოფას, თუმცა ის არ იყო რაციონალიზებული რუსეთის დემის მიერ. გარდა ამისა, 2014 წელს უკრაინაში ადგილი ჰქონდა ხელისუფლების ძალისმიერ დამხობას, რომელსაც მოჰყვა ბანდერელი ნაციონლის ხელისუფლებაში მოსვლა – შესაბამისი შედეგებით, უპირველეს ყოვლისა რუსული ენის აკრძალვის შექმნით და რუსული მოსახლეობის სრული დამორჩილების სურვილით, რამაც გამოიწვია დონეცის რუსულიოვანი უმრავლესობის გამოსვლები, რომელიც გადაიხარდა სამოქალაქო ომში.

ოფიციალურმა კიემა, დონბასის დათრგუნვის მიზნით, სამთავრობო ჯარი მი-აყენა ამბოხებულ დონეცკს და ლუგანსკს, საკუთარ ქვეყანაში ომი გაანაღდა ისე, როგორც 2008 წელს ოფიციალურმა თბილისმა ცხინვალში.

ფაშისმის შიშმა გამოიწვია ის, რაც დონბასში მოხდა – ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გაწევის თვალსაზრისით. არ ყოფილიყო არჩეული ხელისუფლების ძალისმიერი დამხობა და აღორძინებული ბანდერის მიერ გამოცხადებული ომი დონეცის და ლუგანსკის რუსი მოსახლეობის წინააღმდეგ და ისეთივე ვითარება იქნებოდა უკრაინაში, როგორც 2014 წლამდე.

ბანდერული ხელისუფლება უდავოდ გაატარებს სადამსჯელო ღონისძიებებს დონბასში, თუ ის მოახერხებს უკრაინის კანონმდებლობის აღდგენას ამ რეგიონში. ამ შემთხვევაში, რას მოიმოქმედებს დასავლეთი?

“შეშფოთდება” – ეს იქნება და ეს და არა სხვა რამ – მეცარი და კარდინალური. რა მოიმოქმედა მან ოდესის პროვოკაციების სახელზე ოდესხელთა ცოცხლად გამოწვის შემდეგ?

50 უდანაშაულო ადამიანი შეეწირა ბარბაროსულ აქტს, რომელიც უკრაინელმა ფაშისტებმა განახორციელეს ოდესის რუსი მოსახლეობის მიმართ. დასავლეთს – გერმანიის, საფრანგეთის, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრების სახით, რომლებმაც ხელი მოაწერეს იანუკოვიჩისა და ოპოზიციურ ძალებთან დადებულ შეთანხმებაზე, ხმა არ ამოუღიანო, როცა ხელმძღვრემა ოპოზიციამ რამდენიმე საათში დაარღვია შეთანხმება და ძალისმიერი გზით დაიკავა პრეზიდენტის რეზიდენცია, სამინისტროები და უწყებები. ხელშეკრულების გაფორმება მორიგი დასავლური ფანდი იყო, რომელსაც იანუკოვიჩის ყურადღება უნდა მოედუნებინა. იანუკოვიჩმა იმარჯვა და დროულად დატოვა რეზიდენცია. რომ არა, დღეს ის ცოცხალი არ იქნებოდა.

“კიევი და თბილისი მიიჩნევენ, რომ თვითონ უსაფრთხოების პრობლემების მოგვარების წამალი მხოლოდ ნატოში გაწევრებაა. ფაქტია, რომ ორი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს ნატოში გაწევრებას. მათ განაცხადი 2008 წელს შეიტანეს, მაგრამ განცხადება უარყოფილ იქნა, თუმცა ნატო დაპირდა, რომ ისინი აუცილებლად გაწევრდებიან ნატოში. პროუკრაინულად განწყობილი ნატო ისეთ ხეობრულ ორგანიზაციას არ წარმოადგენს, რომ უფლება ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების რომელიმე ქვეყნის გაწევრების თაობაზე. ალიანსის წევრებმა ერთად უნდა მიიღონ გადაწყვეტის გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღების შანსი ძალზე მცირეა ან სრულიად არ არსებობს.”

ასეთი სიტუაცია იქნება მანამ, სანამ არ მოგვარდება კონფლიქტი ერთი მხრივ, კიევა და თბილისი და მეორე მხრივ კი რუსეთს შორის.” – წერს ავტორი და კიდევ ერთხელ გვასხენებს ჩვენთვის, საქმეში ჩახედულთათვის იმ ჭკუშიაღიქვას, რომელსაც არც ხელისუფლება და არც ზოგიერთი პოლიტიკოს-პოლიტოლოგი არ იზიარებს. მათმა გაურკვეველმა ოპტიმიზმმა გამოათავყვანა ხალხი, რომელიც თურმე დიდი უმრავლესობით მხარს უჭერს იმას, რაც არასდროს არ იქნება ან თუ იქნება მრავალი წლის შემდეგ.

ეს სიბართლე, გერმანელმა პოლიტოლოგმა კი არ უნდა გვითხრას, არამედ ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა და მისმა ხელქვეითებმა, რომლებიც მუდამ გაიძახიან გამრუდებულ **“პლასტაკასავით”** ერთსადიანავს – ნატოს კარი დიდა თქვენთვის და როდესაც საშიშრო დავალებებს შეასრულებთ, უმალ გაწვერდებით ნატოში.

დავალებები კი ისეთია, რომელთა შეს-

რულება შეუძლებელია რუსეთთან, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მოლაპარაკების გარეშე. მოლაპარაკება კი ამ ხელისუფლებას არ უნდა, არც ე.წ. ექსპერტებს უნდათ ოკუპანტთან მოლაპარაკება, ვინაიდან თურმე მოლაპარაკება ჩვენი ფაქტობრივი ვითარების აღიარებას ნიშნავს. ამას აცხადებს პოლიტოლოგი საყვარელიძე. მას გართულება აქვს **“პარტიოტა ალიანსი”** სახელთანაც, ვინაიდან პარტიოტი არადა არ უნდა წავიდეს მოსკოვში მოსალაპარაკებლად. პარტიოტი შინ უნდა იჯდეს, სანგრებში და იქიდან ტყორცნიდეს რუსეთს შეურაცხყოფელ სიტყვებს.

როდესაც ასეთი ვაი-პარტიოტიზმი ზემოთს, თან პროვინციული და უგონო, იქ საქმე არ გაკეთდება. და ვიქნებით მუდამ ნატო-ნატოს ძახილში, ვიდრე ეს ორგანიზაცია არ დაიშლება.

რაც შეეხება ევროკავშირს, მასში გაწევრიანება ავტორს შესაძლებლად მიანია და თვლის, რომ ამის გაკეთება **“არცთუ შორეულ მომავალში განხორციელდება”**, მითუმეტეს სამივენი უკვე არიან ასოცირებული წევრები...

თუმცა **“რადგანაც ევროკავშირთან სრული ინტეგრირების პროცესს საკმაო ხანი დასჭირდება. იბადავ კითხვა, რა მოხდება გარდამავალ პერიოდში?”** – კითხვას სვამს ავტორი და შემდეგ თავის ვარიანტს გეთავაზობს: **“ნატოს არაწევრი მნიშვნელოვანი მოკავშირის” სტატუსის შემენს, რაც აშშ-ზეა დამოკიდებული, თუმცა ამ შემთხვევაში ის უკრაინის პროტეკტად მიიჩნევა, ვინაიდან მან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩააბარა ბირთვული იარაღი. მაშინ აშშ-მა და საფრანგეთმა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვა ივალდებულეს. ბუდაპეშტის მემორანდუმის პირობები საქართველოზე არ ვრცელდება, შესაბამისად თბილისს გაწინგონისგან ზემონახსენები სტატუსის მიღება გაუჭირდება”**.

ნაშრომის ბოლოს ავტორი აღნიშნავს, რომ მის მიერ გაკლერებული საკითხი ნაკლებად დამამწვიდებელია სამივე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისთვის და დაკავშირებულია გეოპოლიტიკურ ძვრებთან, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს დასავლეთ-რუსეთის ურთიერთობებთან გამომდინარე. **“ავტოს მსვლამდე პერტებს”** რომ თავპირი არ დაამტკიცონ, საჭიროა დასავლეთის მხრიდან კარდინალური ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის საქართველო-უკრაინისთვის მაღალტექნოლოგიური ლეტალური (სახიკვილო) იარაღის მიწოდება და სხვა.

სხვ იარაღი, სხვ დაპირსპირება რუსეთთან, არადა ვერავითარი ლეტალური იარაღი ვერ უშველის რუსეთის შეტევას. ეს ფაქტია და ვერსად გავკეცვით. პირიქით, ლეტალური იარაღი გააღვიზანებს რუსეთს, ხოლო რაც შეეხება უკრაინას, რომელიც დონბასის ომშია ჩართული, საკუთარ ძალებში თავდაჯერებას გამოიწვევს, რასაც უდავოდ მოჰყვება პასიური შეტაკებების გააქტიურება და ნამდვილ ომამდე მისვლა.

გერმანელი პოლიტოლოგის ნაშრომში ვეღვან სახვასმთაა ნახსენები რუსეთი და მასთან ურთიერთობა, თუმცა ავტორი არ მოითხოვს არც ერთი ყოფილი საბჭოთა სამივე რესპუბლიკისგან ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას რუსეთთან, რაც ჩემის აზრით შეგნებული **“შეცდომაა”**.

ავტორმა კარგად იცის, რომ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება, ევროკავშირის მიერ **“აღმოსავლეთ პარტნიორობის”** წამოწვება, სამივე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისთვის სრულიად შეუფერებლად **“ევროკავშირის ასოცირებული წევრობის”** სტატუსის მითმევა, **“სუამის”** შექმნა და სხვა პროგრამები გულისხმობენ ერთს – რუსეთის ნატოს რეაღმი მოქცევას, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე რუსეთის გავლენის შესუსტებას, რუსეთის დაძაბუნებას და საბოლოო ჯამში დაშლას.

რუსეთის ხელისუფლებამ კარგად იცის რას უშხადებს მას აშშ-ი და ევროკავშირ-ნატო. ამდენად სრულ მზადყოფნაშია და დღეინადავ ხეწს საკუთარ სამხედრო ძლიერებას.

გამალებული შეიარაღება, რასაც თანამედროვე მსოფლიოში აქვს ადგილი, კარგს არაფერს გევაქდის, ვინაიდან პატარა ნაპერწკალს შეიძლება მოჰყვეს დიდი ხანძარი, რომლის ნაქრობა ბირთვული იარაღის პირობებში შეუძლებელი იქნება.

ჰამლეტ ჰიპოფილი, პოლიტოლოგი

ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული ბერი



(გაგრძელება წინა ნომრიდან)

მაგრამ მაშინ ერთი ინფორმატორი გადაურჩა დასჯას. ვინ? ნიკოლოზ ივანეს ძე ევოვი!

რა თქმა უნდა, ამ რანგის ხელმძღვანელი ძნელად წარმოსადგენია უცხოეთის დაზვერვის აგენტის რანგში, იმ სახით, როგორც ამას წარმოვიდგენენ დეტექტიურ ნაწარმოებებში: მიყურადებელი მოსასმენი მოწყობილობით და შარვლის საიდუმლო ჯიბეში ჩადებული მინიატურული ბრაუნინგით.

ინფორმაციული შიონაჟის მეთოდები განსხვავდებოდა მონაცემებით ვაჭრობის ადრეული სისტემისაგან, მაგრამ მისი მამოძრავებელი ძალა უცვლელი გახლდათ – დალბატი.

აი, მცირე ფრაგმენტი ყოფილი შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის დაკითხვის ოქმიდან:

27.04.39 №1268/6
სრულიად საიდუმლოდ ამხანაგო სტალინ.
ამასთან გვგზავნით ევოვის დაკითხვის 1939 წლის 26 აპრილის დაკითხვის ოქმს.

დაკითხვა გრძელდება.
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლ. ბერია

პასუხი: გერმანული დაზვერვის მიერ ჩემი გადაბირება მოხდა 1934 წელს, შემდეგ გარემოებებში: 1934 წლის ზაფხულში სამკურნალოდ გამავ ზაგნის საზღვარგარეთ, ქალაქ ვენაში, პროფესორ ნორდმანთან.

შპკმმ: ვინ არის ნორდმანი?
პასუხი: ნორდმანი ეროვნებით გერმანელია, თუმცა ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო ფრანკფურტიდან ვენაში გადასახლდა. იგი სამედიცინო სფეროს მსხვილი სპეციალისტია, უამრავი სანატორიუმის თანამფლობელია, არა მხოლოდ ავსტრიაში, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებშიც.

ვენაში ნორდმანთან სამკურნალოდ ჩადიან ავადმყოფები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის იყო საბჭოთა კავშირის უამრავი ხელმძღვანელი მუშაკი.

შპკმმ: კონკრეტულად ვინ?
პასუხი: რამდენადაც ვიცი, ნორდმანთან მკურნალობდნენ ჩუბარტი, ბამარნიძე, იაკობი, ვინგოვი, მუხამბეტი.

შპკმმ: თქვენ ვინ გადაგიბირათ?
პასუხი: მე გადამიბირა დოქტორმა პნებლერმა (გერმანელი), რომელიც ნორდმანის უფროსი ასისტენტი გახლდა.

ვენაში ჩამოსვლის შემდეგ, 1934 წლის ივლისის მიწურულს, მე მომათავსეს შედარებით კომფორტულ კოტეჯ-სანატორიუმში.

ჩამოსვლიდან მესამე კვირას მე ინტიმური კავშირი დავამყარე მედიცინის დასთან, რომლის სახელიც არ მახსოვს.

პირველ დამეს ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა, მაგრამ მერე ჩემთან ოთახში მოულოდნელად შემოვიდა დოქტორი პნებლერი და დამაფიქსირა არც თუ სასურველ პოზაში მედიცინის დასთან. მან სკანდალი ატეხა და იხმო უფროსი მედიცინის და, რომელიც კივილით გამოვარდა ოთახიდან. პნებლერი კი დამტვრეული რუსულით ცდილობდა ჩემთვის რაღაცის ახსნას.

მან განმიცხვავა: “ასეთი ამბავები შემთხვევა ჩვენ ჯერ არ გეკონია სანატორიუმში. ეს ბორდელი არ არის, თქვენ კი არცხვენი ჩვენი სანატორიუმის შეუბღალავ სახელს. მოვეიწვევს თქვენი სანატორიუმიდან ამოწერა და თქვენს ხელისუფლებას ვაცნობებთ ამ საქციელის შესახებ. გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ ეს სამარცხვინო ფაქტი პრესის ფურცლებზე არ მოხვდება”.

მე ვეშუადარებოდი პნებლერს არ გაეკეთებინა ეს და ფული შეეთავაზებ. პნებლერი უფრო გაწიწმდა და დემონსტრაციულად წავიდა.

მეორე დღეს მე თავად ვეახლე პნებლერს, ბოდიში მოვუხადე უხეშობისათვის, ფულის შეთავაზებისათვის და ვაცნობე, რომ ყველაფრის მშვიდობიანად მოგვარება მსურს. მან ისეთი ტონით განმიცხვავა, რომელიც კომპრომისის გამოცხადებას: “ან მომავალში გერმანელებთან ითანამშრომლებთ, ან ყველაფერს ნათელს მოგვყენებ და სამუდამოდ გაგიტყვებთ სახელს”.

იგივე პნებლერმა მითხრა რომ ძალიან კარგად იცის ვინ ვარ მე, რას ვსაქმიანობ და რა მდგომარეობა მაქვს პარტიაში (მე მაშინ ვმუშაობდი სკკპ (ბ) ცეკას სამრეწველო განყოფილების გამგედ და პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ).

მე თავზარი დამეცა და მივხვდი, რომ მედიცინის და სპეციალურად იყო ჩემზე მონენილი და ვთხოვე პნებლერს, რომ მოსაფიქრებლად ჩემთვის დრო მოეცა. იგი დამთანხმდა.

შემდეგი შეხვედრისას კი ევოვი “ექიმის” ყველა შეთავაზებას უსიტყვოდ დათანხმდა.

შპკმმ: გამომიხსენებთ თუ რა ჯაშუშური მასალები გადაეცით თქვენ პნებლერს?

პასუხი: იმის ფარგლებში, რაც მე ზეპირად მახსოვდა, მე მოვუთხრე პნებლერს საბჭოთა ჯარების შეიარაღების სავალდლო მდგომარეობას და ბრძოლისუნარიანობაზე, განსაკუთრებით გავუხსი რა ხაზი ჩვენი ჯარის სუსტ მხარეებს. ვუთხარი, რომ ჩვენი ჯარი ზოგადად ძალიან ჩამორჩება საარტილერიო დანადგარების აღჭურვის მხრივ და საარტილერიო აღჭურვის ხარისხითაც ძალზე ჩამოუვარდება კაპიტალისტური ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს.

ვეხებოდი რა საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ მდგომარეობას, მე მოვუთხრე პნებლერს საკომერციული მშენებლობის საქმეში არსებული სინდელეების თაობაზე და ინდუსტრიალიზაციის სფეროში გამეფებულ უთავბოლოებაზე, განსაკუთრებით ახლადაშენებული საწარმოების ამოქმედების საქმეში. საილუსტრაციოდ მოვიყვანე სტალინგრადის ტრაქტორმშენებელი ქარხანა, სადაც მუშაობის დაწყებამდე გამოვიდა მწიბრიდან უამრავი ფასეული დანადგარები. აქვე ვუთხრებოდი პნებლერს, რომ საბჭოთა ინდუსტრიალიზაციაში მიღწეული წარმატებები ფრიად ხავეჭვია.

მე ასევე მოვუთხრე პნებლერს იმ დისპროპორციებზე, რომელიც არსებობს საბჭოთა წარმოების სხვადასხვა მიმართულებებს შორის. განსაკუთრებით აღვნიშნე ჩამორჩენები ფერადი მეტალებისა და სპეციალური შენადნობების წარმოების საქმეში, რაც ამუხრუჭებს საბჭოთა ჯარის ბრ-

ძოლისუნარიანობის გაზრდის პროცესებს.
შპკმმ: ჯაშუშური ხასიათის რომელი დავალება მიიღეთ ტაიციზაბან? (პნებლერის შეკავშირე, რომელიც ცხოვრობდა და მუშაობდა მოსკოვში – აეტორი).

პასუხი: პარტიული კონტროლის კომისიაში არსებობდა სამხედრო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნ. კუბიშვილი. ჯგუფის მუშაობა და მასალები მკაცრად გასაიდუმლოებული იყო და ჯგუფი მე შემორჩენილიყო. პარტიული კონტროლის კომიტეტის სამხედრო ჯგუფის მიერ მომზადებული იყო იმ სამხედრო ნაწილის შემოწმების მასალები იგზავნებოდა მხოლოდ თავდაცვის კომიტეტში და ჩემთან როგორც წესი, ეს საბუთები ხშირად სახლში მიმქონდა და მცირე ხნით მათ გადაეცემდი ხოლმე ტაიციზს, რომელსაც შემდეგ მიბრუნებდა. ვიცი, რომ ამ მასალებს ტაიციზ ფოტოებს უღებდა და დანიშნულებისამებრ გადასცემდა.

შპკმმ: იგი თავად გუუბნებოდათ ამის თაობაზე?

პასუხი: დიახ, ერთხელ მე დავინტერესდი, როგორ და რა გზებით გადასცემდა იგი ჩემს მიერ მიწოდებულ ინფორმაციებს. ტაიციზმა მითხრა, რომ ფოტომასალებს იგი გადასცემს პირუფებას, რომელიც მუშაობს გერმანიის საელჩოში, რომელიც მას შემდეგ უგზავნის გერმანიის დაზვერვას.

შპკმმ: როგორ ახერხებდა იგი გერმანიის საელჩოში მოხვედრას?

პასუხი: გარდა თავისი უშუალო საქმიანობისა კრემლის სანიტარულ ნაწილში, ტაიციზი მოსკოვში გერმანიის საელჩოს თანამშრომლებსაც ემსახურებოდა.

შპკმმ: თქვენ გახსოვთ იმ ინფორმაციათა ხასიათი, რომელსაც ტაიციზს გადასცემდით?

პასუხი: დიახ, მახსოვს!
შპკმმ: დააკონკრეტეთ.

პასუხი: დოქტორ ტაიციზთან ურთიერთობის მანძილზე მას გადაეცემა ინფორმაციები ჩვენი ჯარის შეიარაღების, კვების პროდუქტებით მომარაგების, პირადი შემადგენლობის მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობისა და საბრძოლო მზადყოფნის შესახებ. ინფორმაციებში დეტალურად იყო გაწერილი კონკრეტული სამხედრო ნაწილების ციფრებითა და ფაქტიური მონაცემებით დახასიათება, ჯარების სახეობა შეიარაღებისა და სამხედრო ოლქებში არსებული მდგომარეობა.

ამავე დროს მე ტაიციზს გადაეცემა ინფორმაციები შეიარაღების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე, ახალი თვითმფრინავების გამოშვების საქმეში არსებულ პრობლემებზე, მათ ავარიულ მდგომარეობაზე, სამხედრო მფრინავების მომზადების გეგმები, ინფორმაცია ჩვენს მიერ გამოშვებული თვითმფრინავებისა და საავიაციო ძრავების რაოდენობისა და ხარისხზე.

გარდა ამისა, ტაიციზს მეშვეობით მე გადაეცემა გერმანიის დაზვერვას პარტიული კონტროლის კომიტეტში არსებული ინფორმაციები საბჭოთა ჯარების ტანკებით უზრუნველყოფის თაობაზე. მე გერმანელების ყურადღებას მივაქცევი ჩვენი ჯავშნის არასახარბილო მდგომარეობაზე და ტანკების აღჭურვაზე დიზელის ძრავებით, ნაცვლად მაშინ მიღებული საავიაციო ძრავებისა.

გარდა ამისა მე ტაიციზს გადაეცემა ინფორმაცია საბჭოთა ჯარების კვების პროდუქტებითა და ტანსაცმლით მომარაგების საქმეში არსებული ხარვეზებზე. სხვათა შორის, ამის თაობაზე სკკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სპეციალური თათბირი, რომლის დადგენილებაც ასევე გადაეცემა გერმანიის დაზვერვას.

ჩემს მიერ მიწოდებული მასალები ნათელ წარმოდგენას ქმნიდნენ სამხედრო ნაწილებში შექმნილ მდგომარეობაზე. გერ-

მანელებისათვის ძნელი განსაჯერები არ გახლდათ ის, რომ ომის დაწყების პირველ დღეებში საბჭოთა არმია სერიოზული სინდელეების წინაშე აღმოჩნდებოდა.

ანალოგიური მასალები გადაეცემა მე ტაიციზს ქიმიური და ცეცხლსასროლი იარაღისა და წითელი არმიის საინჟინრო უზრუნველყოფის თაობაზე, გარდა ამისა, გადაეცემა ცალკეული მასალები ლენინგრადის, ბელორუსიის, ვოლგისპირეთის და შუა აზიის სამხედრო ოლქებში არსებულ მორალურ-პოლიტიკურ ასპექტებზე, რომელიც მოკვლეული იყო პარტიული კონტროლის კომიტეტის მიერ.

შპკმმ: რაში გამოიხატებოდა თქვენი შემდგომი თანამშრომლობა გერმანიის დაზვერვასთან?

პასუხი: 1936 წლის დასაწყისში, კრემლის სამედიცინო სამსახურის მოწვევით, რიგი პასუხისმგებელი მუშაკების კონსულტაციისათვის მოსკოვში, 15-20 დღით ჩამოვიდა ნორდმანი.

დიდი რაოდენობის ხალხისაგან, ვინც კონსულტაციები გაიარა ნორდმანთან, მე ზუსტად მახსოვს ბამარნიძე, იაკობი, ჩუბარტი, პეტროვიჩი, პოსტოვი, ვინგოვი და მუხამბეტი. მაშინ ნორდმანმა მეც გამიწია კონსულტაცია.

ესეც ასე, თქვენ კი ამტკიცებდით, რომ ეს ყველაფერი კარიკატურა გახლდათ, თითოდაც გამოწვევითი ფაქტები, სამხარეულოს ჭორები.

რა თქმა უნდა, მკითხველებს შორის აუცილებლად აღმოჩნდებიან “ექსპერტები”, რომლებიც ეჭვის ქვეშ დააყენებენ ევოვის ჩვენებების ჭეშმარიტებას: თითქოს და, ყველასათვის ნათელია, თუ რა გზებით მიიღებოდა მაშინ ამგვარი აღიარებები.

უმალესი პარტიული, საბჭოთა და სამხედრო მაღალჩინოსნების სტალინური სასამართლო პროცესები ფართოდ გაავრცელდა საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთის ავტორიტეტულმა ისტორიკოსებმა და იურისტებმა. და რაც მთავარია, არც ერთ მათგანს არ ჰქონია პრეტენზია ომამდელი საგამომიებო ორგანოების და სასამართლოს პროცესების ობიექტურობის თაობაზე. ჩვენ არ ვსაუბრობთ ადგილობრივი “სამეულების” თავდასულობაზე.

“დასავლეთი ყურადღებით აღევნებს თავს საბჭოთა კავშირში განვითარებულ მოვლენებს, განსაკუთრებით მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ გამართულ სასამართლო პროცესებს. იცოდნენ რა, რომ ეჭვმიტანილები თავს ვერ დაადგინებდნენ დამსახურებულ სახელს და ამის გამო ისინი იძულებული გახდებიან დაარღვიონ გაუთქმელობის ფიცი, დასავლეთის მმართველი ძალები ცდილობდნენ ზოგიერთი მათგანისათვის დახმარების აღმოჩენას. ვერ ვიტყვით, რომ ისინი სამართალში მიცემულთა ბედით იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ მათ აკრობოდათ ეჭვმიტანილთა საჯარო აღიარებები მსოფლიო საზოგადოების წინაშე, სადაც დასავლეთი არც თუ ღამაზე ფერებში იქნებოდა წარმოდგენილი. ეს საშინელება გახლდათ დასავლეთის მმართველი წრეებისათვის. მოსკოვში ვაგზავნილი იქნა ლიონ ფონტანაგერი – არა მხოლოდ როგორც გამოჩენილი მწერალი და გერმანიის ებრაელთა წარმომადგენელი, არამედ როგორც ებრაელი მასონური ლოჟის “ბნაი-ბრითის” გავლენიანი წარმომადგენელი. სინამდვილეში კი მისი ვიზიტის ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ ვიგნი “მოსკოვი. 1937 წელი. ჩემი მეგობრების ვიზიტის შედეგები”, რომლის მთელი შინაარსი ადასტურებდა სტალინის მიერ მიღებული ზომების ობიექტურობას” (ა. მარტიროსიანი).

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი, (გაგრძელება იქნება)

“მოიზიდა და მოკალი”

პოეზიის კუთხე

პოსტსარჩევნო პარალელები

ბანაწუსი ახალ მერს!

არა, არა მწამს დიდად მე სხვისა, როცა ფინტები მახსოვს მესხისა, მაგრამ „მილანელს“, მზრუნველს კალაზე იმედით ვხვდები კახი კალაძეს და მას (არც პელეს, არც გაეტანოს!) ვთხოვ, ავტოგოლი არ გაეტანოს, რადგან ფეხბურთი სადღაც მერეა, როცა მთავარი არის მერია!

დეპუტატია? იურისტია?

ფიქრი, რომელიც დაბადა დეპუტატის სატელევიზიო სკანდალმა იყო გაგროში ცალი კალშით და ვინც ჩააგდო ქერის ხარში, მასზე ლაყობას მოჰყვა არევა და ნეპოტიზმის აღიარება! მერე რა, დღეს თუ თვალზე ბისტი აქვს, დეპუტატია, იურისტია!

ალექსანდრე შენბელია

გრაკლიანის წარწერად წოდებული, ათასწლეულთა მიღმევიდან გზავნილი, რომელმაც ეჭვს გარეშე დააყენა ქართული ანბანის პირველადობა, ბ-მა კუკური ფიფიამ ასე ამოიკითხა: “ქიანა მიყორც!” რაც ახალ იბერიულ ენაზე, ქართულზე იგივეა, რაც

ჭეშმარიტი მიყვარს!

ჩამესმა: წერე... იბადება ახალი ლექსი! აღარ გვსმენია ხმა მამისა ძალიან დიდხანს, გაღივიწყე ყველა თქმული, რეტრო და მიქსი, რითმები ძებნე გზავნილისთვის – ქვეყანა მიყვარს! მოგეხმარება: მიყვარს – ცის კარს – იმ ხარს და – ჭიშკარს მეტი არ გინდა, გრძელი სიტყვა მოკლედაც ითქმის, ამ წარწერაში თავად ღმერთი გაცხადდა სიტყვით. ოღონდ იგრძენი, ხელისგულზე მთელი ცა გიძევს. კარგი, დამწვიდდი, დამწვიდდი და ასე დაიწყო: დაიწყო რაღაც ღმერთმა ჟამის უგზოობიდან, თითქოს ანჯამა შეუთრთოლდა დაგმანულ ჭიშკარს: “მომეყრდენ მეკრძე, გამოფხიზლდი ძილში კრთომიდან, ქვეყანა მიყვარს სანატრელო, ქვეყანა მიყვარს!” გიჟი მოხვერი გამიზრდინარ ქედმაგარ ხარად: ახლა მკასა და ლეწვას ვიწყებ, დაგკარგავ იმ ხარს? უდაბნოს ხვატში გაგიწვიმე სულის მანანად; ”ქვეყანა მიყვარს!” ეგ წამხდარი ქვეყანაც მიყვარს! დიდი ხანია, მიმეფარე თვალთაგან შვილი, ა, ეს სიტყვები გაგიღებენ ხელახლა ცის კარს. დაბრუნდი! სული დაიმწვიდე ქარში შეშლილი, შენ რომ მიყვარხარ, ეგ ქვეყანაც იმიტომ მიყვარს! აქ ისევ ის ხმა აჩურჩულდა, რის ცა ჩაჩუმდა: – ახლა სხვა რითმა მიაშველე, დამთვრალი ბანგით, იგრძენი, როგორ აურჯოლებს-თქო მთებს იქით რიონს, ასე უფალი ჩურჩულდება იბერის ბავით: ქიანა მიყორც! მიყორც! მიყორც! ქიანა მიყორც!

ილინო კაბანიშვილი-საღარაძისა

“ფაროსანა გამოსაზამთრებლად საცხოვრებელ სახლებსა და დახურულ შენობებში ინაცვლებს და მოზამთრე ფაზასთან ბრძოლა სწორედ თავშესაფარი ადგილებიდან უნდა დაიწყოს”

სურსათი და გარემო – აზიურ ფაროსანას სწორედ ეს ორი ფაქტორი იზიდავს. მაგნეტულს წყნარ ნაყოფის მქონე მცენარეები მოსწონს, მათ შორის, ატამი, წიწაკა, ციტრუსი, კიტრი, პომიდორი, მხეხუმი, ვაშლი, მსხალი, ქლიავი და ყურძენი. ამჯერად, როგორც ფერმერების, ისე სურსათის უვნებლობის სამსახურის ყურადღება ციტრუსის კულტურაზეა კონცენტრირებული, რადგან აჭარასა და გურიაში მოსავლის ასაღებად ემზადებიან.

აზიური ფაროსანა გაზაფხულზე – აპრილის მიწურულსა და მაისის დამდეგს სახლდება მცენარეზე და მაგნეტობას გვიან შემოდგომამდე აგრძელებს. ფაროსანა ხორთუმიტ ხერვებს ნაყოფს, ათხელებს შიგთავსს და წარმოქმნის კორპისებრ ლობობად ლაქებს. დაზიანებული ხეხილის ნაყოფი დეფორმირდება, დაზიანების ადგილებში ვითარდება ყავისფერი ლაქები და ხილი საკვებად გამოუსადეგარი ხდება. მაგნეტული გამოსაზამთრებლად შედის საცხოვრებელ სახლებში, ფარეხებში, ცხოველთა სადგომებში, ფარდულეებში; ძვრება ნაპრალებში, სხვენზე, კარისა და ფანჯრის დორიკოებში, ასევე ბაღებსა და ტყეში ჩამოცვენილი ფოთლების სქელი ფენის ქვეშ და ხეების ფულურობებში. როგორ უნდა ვებრძოლოთ მაგნეტულს სახლის პირობებში და რა პრევენციულ ღონისძიებებს მიმართავს სახელმწიფო, რომ ფერმერებს რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიადგეთ. სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილე ზურაბ ლიპარტია აცხადებს:

– აზიური ფაროსანა ციტრუსს მინიმალურ საფრთხეს უქმნის, თანაც ამ პერიოდში მაგნეტულს უკვე დასრულებული აქვს კვება და ის მხოლოდ ერთეული სახით გვხვდება. მართალია, ციტრუსის კულტურაშიც დაფიქსირდა ფაროსანა, თუმცა, არა იმ რაოდენობით, როგორც სხვა მცენარეებში. სახელმწიფო აქტიურად აგრძელებს როგორც მაგნეტულთან ბრძოლას, ისე პროცესში მოსახლეობის ჩართვას. კერძოდ, თითოეულ ფერმერს ერთი ლიტრი ფერომონი და მისი გამოყენების დეტალური ინსტრუქცია დაურიგდა – ერთი ლიტრი ფერომონი საკმარისია 2 ჰექტრის შესაწამლად. საერთოდ, ფაროსანასთან ბრძოლაში მოსახლეობის ჩართულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს – თუ აშშ-ში მაგნეტულსგან მიყენებული ზარალი 5%-მდე დასული, ეს სწორედ იმის შედეგია, რომ ფერმერები მაგნეტულს სახელმწიფოსთან ერთად ებრძვიან. ფერმერზე უკეთ არააინ იცის, რა ღონისძიებებია აუცილებელი მის საკარმიდამო სივრცესა თუ ბაღებში. სახელმწიფო კი შხამქიმიკატებითა თუ რჩევებით ეხმარება.

– აჭარასა და გურიაში ციტრუსის დასაკრეფად ემზადებიან. ფერმერების ნაწილი აცხადებს, რომ მოსავლის დიდი ნაწილი მაგნეტულმა მნიშვნელოვნად დააზიანა.

– თუ ციტრუსის მოსავალი წელს მცირეა და ნაყოფი ცვივა, ეს ფაროსანას არ უნდა დავაბრალდოთ, ისევე როგორც თხილის მოსავლის მხოლოდ 10% დაზიანა ამ მაგნეტულმა. ციტრუსის მოსავლის პრობლემა წელს გვაღვა იყო, მოგეხსენებათ, ნალექი თევების განმავლობაში არ მოსულა, რაც აისახა ნაყოფზეც. ეს მოსახლეობამ კარგად იცის, მათთან ყოველდღიური კომუნიკაცია გვაქვს, საქართველოს მასშტაბით დარიგებულია 230 ათასი ბუკლეტი, სადაც აღწერილია როგორც მაგნეტლის თვისებები, ისე მასთან ბრძოლის მექანიზმები.

– ფერმერების ნაწილი ჩივის, რომ

შხამქიმიკატი, მართალია, ანადგურებს ფაროსანას, თუმცა, მცენარესაც აზიანებს.

– სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ეს აბსოლუტურად მცდარი მოსაზრებაა. პრეპარატი მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზეა დარეგისტრირებული, მის შემადგენლობაში ბოლო შესწორება 2012 წელს შევიდა და 2030 წლამდე მოხმარებისთვის ვარგისიანადაა მიჩნეული. მას იყენებენ როგორც ვეროპლაში, ისე აშშ-ში, თუმცა, არც ერთ ფერმერს არ დაუჩივლია, რომ ქიმიკატის გამოყენების შემდეგ მცენარე გახმა. პირიქით, ფერომონი ბოსტნეულის შესაწამლად რეკომენდებულია და თუ, მაგალითად, ბადრიჯანს ან პომიდორს არ აზიანებს, როგორ შეიძლება ციტრუსის ხე გაახმოს? მეტიც, წყალში შეუხავებელი ფერომონიც კი არ არის დამაზიანებელი მცენარისთვის, ის მხოლოდ მაგნეტულს ანადგურებს. როგორც გითხარით, 230 ათასი მოქალაქეს დეტალურად აღუწერეთ ქიმიკატის გამოყენების წესები, ამჯერად ინფორმირებული ფერმერების აქტიურობის დროა.

– როგორ ვებრძოლოთ ფაროსანას სახლის პირობებში?

...ომის შემდეგ შუქურა სამრეწველო უბანი გახდა. ზედიზედ აშენდა ფაბრიკა-ქარხნები, ხორცის, ტყავ-ფეხსაცმლის, თევზის კომბინატები, საავადმყოფოები, კინოთეატრი. დაწყებითი სკოლა რვაწლიანად გადაკეთდა, შემდგომ კი რუსულ-ქართულ საშუალო სკოლად, მაღალი კონტინგენტით, სადაც ათამდე ეროვნების მოსწავლე სწავლობდა. ამ სკოლებში ალექსეევანამ ორმოცდაათი წელი იმღვავა. პარალელურად ეშერის რუსულ-ქართულ სკოლაშიც ასწავლიდა. იყო საქართველოსა და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი, მრავალი ჯილდოსა და მედლის მფლობელი. მისმა ერთადერთმა ქალიშვილმაც მშობლების პროფესია აირჩია.

80-იან წლებში უბანში გზის გაფართოებამ ალექსეევანას ეზო-კარი ქუჩას დაუახლოვა. ეს ქუჩა, რომელსაც მამის ბზიფის გზატკეცილი ეწოდებოდა, ქალაქის ცენტრალურ ბაზართან იწყებოდა და მდინარე გუმისთის ხიდთან მთავრდებოდა.

პენსიაზე გასვლის შემდეგ ალექსეევანას თითქმის ყოველდღე, თავისი სახლის აივანზე, სავარძელში მოკალათებულს ნახავდით. ქვეითად მიმავალი აუცილებლად შეჩერდებოდნენ მის ჭიშკართან. მოკითხავდნენ, მიეაღერებოდნენ. ტროლეიბუს-

ავტობუსებიდან კი ზოგი ხელის აწევით, ზოგიც კი ქულის მოხდით ესალმებოდა. ალექსეევანა საღმთო არავის პასუხობდა, თითოეულს მხოლოდ თბილ მხერასა და გულით ღოცვას გააყოლებდა.

ავისტოს იმ საბედისწერო დღესაც, ჩვეულებისამებრ, აივანზე იყო გამოსული. ქალიშვილი ქალაქში იყო წასული ნათე-

ალექსეევანა

საკების მოსანახულებლად, სიძე-შვილი-შვილები იმერეთში ისვენებდნენ.

მოულოდნელად თვითმფრინავმა ყურისწამლები ხმაურით სულ დაბლა ფრენით გადაუარა უბანს. ალექსეევანა სახლში შესასვლელად მოემზადა... უეცრად არემარე შეხანზარდა, ქუჩაში ბუდი დადგა. ამჯობინა ისევ სავარძელში მჯდარიყო... ერთმანეთის მიყოლებით გამოინდნენ ტანკები. მათზე ძეგლებით გაქვეავებული ჯარისკაცები მრისხანედ გაჰყურებდნენ ქუჩას. ტანკებს არეული ნაბიჯებით იარაღსამული მეომრები და ბავშვები მისდევდნენ. მათ კვლადაკვალ სახლებიდან მოსახლეობაც გამოდიოდა. ჭიშკარს მოახლოებულ მეზობელს უხმო. ალექსეევანა მეზობელმა შორიდან რომ ვერაფერი გაავგონა, აივანზე ამოვიდა და ყურში ჩასძახა: ქართველები არიან, გუმისთის ხიდისკენ მიდიანო.

ქალიშვილი ქალაქიდან შემოფოთებული დაბრუნდა. საგონებელში ჩავარდა ალექსეევანაც. სიძე ქართველი ჰყავდა, ჰყავდა უამრავი ნათესავი აფხაზი ასტამურის მხრიდან – მისიშვილები, მათი შვილები და შვილიშვილები. ისინი გუმისთის ხიდგაღმა ცხოვრობდნენ და თუ ომი დაიწყებოდა...

ომი მართლაც დაიწყო. ხიდგაღმა სიტუაცია დაიძაბა. აფხაზ ნათესავებთან კავშირი შეუძლებელი გახდა. ომამდე კვირაში ერთხელ მაინც მოკითხავდნენ ერთმანეთს. ყველას შეხნიოდა: ჩემების (ასე ეძახდა აფხაზ ნათესავებს) არაფერი ვიცით.

გუმისთასთან ბროძელებში ასტამურის ორი მისიშვილიშვილი დაიღუპა. ალექსეევანას ამ ამბავს ახლობლები დიდხანს უმაღავდნენ. გვიან, ისიც მეზობლებისგან, გაიგო. შეიცხადა. შავები ისედაც გაუხდელად ეცვა, მაგრამ მეგრულ-აფხაზური წესისამებრ, მათ სახელზე ახალი შეაკერინა, შუბლზეც შემოეტეხა. შავი წაიკრა. მძიმე შავებში ჩაქმული თავის სავარძელში ღრმად ჩაეფლო.

ქუჩისკენ არცკი იყურებოდა. თაქნაქინდრული ჩუმად ქვითინებდა. სუსტი ხმით ესაუბრებოდა ასტამურს, ძმებს, მშობლებს, მამას. ახლადდაღუპულ ბიჭებს დასატირებლად ვერ იმეტებდა. ქუჩაში იშვიათად თუ გაივიდნენ ნაცნობები. ძველებურად მეზობლებიც ვერ იცლიდნენ ალექსეევანას მოსაკითხად. ტროლეიბუს-ავტობუსები ომის დაწყების დღიდან არ გამოჩნებულან.

ომის დაწყების წლისთავზე იმედოვნებდა. პირველი სექტემბრისთვის კვლავ გამოცოცხლდა უბანი. სკოლებს, ინსტიტუტებს, ოჯახებს დაუბრუნდნენ გაზინებულები.

ვაი, რომ ამ იმედს გაცრუება ეწერა.

16 სექტემბერს აფხაზმა "ბოვეიკებმა" კვლავ განახლეს ბროძელები. კვლავ გაიხიზნა მოსახლეობა. ბევრმა გახიზნაც ვერ მოასწრო. გზები ჩაიკეტა. ქალაქი ალყაში მოექცა. უმეტესობა სახელდახელოდ მოწყობილი თავშესაფრების იმედად დარჩა. იბომბებოდა ქალაქი. ეშერის სკოლის თავზე კვლავ გამოჩნდა სნაიპერი. ქუჩაში ისიცებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა.

27 სექტემბერსაც ცხელიდა სოხუმში. შუქურაში დილიდანვე სიმშვიდე იყო. ალექსეევანას ეზოში დაუკრფავი ადესასა და ციტრუსების სურნელი ტრიალებდა. იმ დღესაც უთენია გამოვიდა აივანზე. ქალიშვილი ქალაქში გაგზავნა ახლობლების მოსანახულებლად. მალევე უნდა მობრუნებულიყო უკან, მაგრამ არ ჩანდა. მოულოდნელად გუმისთიდან მომავალი რამოდენიმე იარაღსამული ჯარისკაცი გამოჩნდა. ქართველები იყვნენ, ხმადაღმა, ალექსეევანით ლაპარაკობდნენ. ჩქარობდნენ.

მალე ჭიშკართან რამოდენიმე მეზობელმაც ჩაირბინა, მისკენ არც გამოუხედავთ. გვერდითა მეზობელმა ბავშვით ხელში ჩქარი ნაბიჯით ჩამოიარა, ალბათ გულმა არ მოუთმინა, არცკი მოუხედავს ისე მიიძახა: ალექსეევანა, შედი სახლში, აფხაზები შემოვიდნენო.

მეზობლის ნათქვამის გააზრებაც ვერ მოასწრო, ჭიშკარი ჯარისკაცმა შემოგლიჯა (ომის პირველ დღეებში ბევრი იყო ასეთი გზაბნეული მემომარი). აივანზე გახევებულ მოხუცს მანაც მიიძახა: ბებია,

შედი სახლში, სოხუმში აღებულიათ. თითქოს, ამის სათქმელად გამოგზავნესო, უმაღ უკანვე გაავრდა, ალბათ, ამჯობინა გარდაუვალ სიკვდილს ქუჩაში შეხვედროდა.

აშკარა იყო, მარტო დარჩა. სახლში შელასლასდა, ტელეფონს დასწავდა ქალაქში დისშვილისთვის რომ დაერეკა. ტელეფონი გათიშული იყო, არც შუქი იყო, არც წყალი.

ქალაქის დატოვებამ მასში დარჩენილი და მისგან სამშვიდობოს გაღწეული ქართველები ერთმანეთისგან უმოწყალოდ გათიშა. ოჯახის წევრის გამოსახსნელად უკან დაბრუნება გარდაუვალ სიკვდილს ნიშნავდა...

იმ დღიდან აივანზე არ გასულა ალექსეევანა. ფანჯარასთან მიდგმულ სკამ-ლოგინზე იჯდა. დროდადრო შეპარვით გახედავდა ქუჩას. კანტიკუნტად, მაგრამ უცხო ხალხი მიმოდინდა. დაღამდა, მეზობლების სახლებიც ჩაბნელებული იყო. იქნებ, დუშაც, ქსენიაც, ხუტაც მარტო ან მიუღეს ოჯახთან ერთად სხედან საშინელების მოლოდინში.

ბოვეიკები პირველი ორი დღე არ გამოჩნებულან. ქართველი მეომრების შიშით კერძო სახლებში შესვლას უფრთხოდნენ.

სამი დღე და დამე თვალის მოუხუჭავად, გაუნძრევლად ფანჯარასთან იჯდა. დაღამდა მეოთხე დღის კოშმარული დამეც. ალექსეევანას სმენა დაღატობდა, მაგრამ ამ სამარისებულ სიწუმეში აშკარად გაიგონა კიბეზე ვიდაცები ამოვიდნენ. ორნი იყვნენ, ერთმანეთში ხმადაღმა ლაპარაკობდნენ, შემდეგ კარებს მუშტები დაუშინეს. პასუხი რომ ვერ მიიღეს, ერთმა შეიგინა კიდეც, შემდეგ ორივემ ერთდროულად კარები შემოგლიჯა. ერთმა სანათურით გაანათა ოთახის ყოველი კუთხე. შიშისგან გულწაუსული ალექსეევანა ლოგინზე იყო გადაწოლილი. მეკვლით თუ ეკვლით – მეორემ კონდახით უბიძგა. ალექსეევანა ტკივილმა გონს მოიყვანა. ყრუდ წამოიკვნესა.

– ვინ ხარ, მოხუციო! – მკაცრად ჰკითხა ერთ-ერთმა.

ალექსეევანამ ხმა არ გასცა.

– რატომ დარჩი, მოხუციო! – ახლა მეორე ჩაეკითხა.

– მამისსიშვილებს ველოდები, – უნებლიედ აღმოხდა.

– ქართველებს ელოდები? – დასცინა ერთ-ერთმა, რომელიც სკამ-ლოგინზე ალექსეევანას გვერდით ჩამოქვდა. ორი დროდადრო ოთახის კედლებსა და კუთხე-კუნჭულს სანათურით ათვალიერებდა.

ალექსეევანამ საყვედურით აფხაზურიც იცოდა.

– აფხაზებს, ეშერაში ცხოვრობენ, –

გაბედა და სათითაოდ ჩამოთვალა რამოდენიმე სახელ-გვარი.

"ბოვეიკი" გაბრაზდა. ფეხზე წამოიჭრა. იარაღიც კი მოიმარჯვა.

– შენ რა, დაგვიცინი, მოხუციო! რა თქმა უნდა, იცი, რომ მათ ქართველებმა შვილები დაუხოცეს და შენს გადარჩენაზე იფიქრებენ?

– ვიცი, ასტამური და ვალოდია დაიღუპნენ, მათზე მაცვია შავები, – მწარედ და გულწრფელად აქვითინდა ალექსეევანა.

– ილოცე, მოხუციო! ჩვენ ისევ შემოგვივლით, – მუქარაშერეული ხმით დაუბარა ერთმა მათგანმა.

გათენდა. ალექსეევანა რატომღაც გამხნედა. ოთახში გაიარ-გამოიარა. ჩაიდანში დარჩენილი წყალი მოსვა. გამხმარი პურის ნატეხი შაქრიან წყალში ჩაალებო. ფანჯარაშიც თამამად გაიხედა. ქუჩა ისევ ცარიელი იყო. გარეთ გამოსვლა მაინც ვერ გაბედა. უკანა ოთახებში გავიდა, კარები მაგრად ჩაკეტა. შვილიშვილების საძინებელ ოთახებშიც შეიხედა. დაღამდა. კვლავ უკუნმა სიბნელემ დაისადგურა შინ და გარეთ. ღამემ შიშში გაუძლიერა. ძილიც არ ეკარებოდა. და თუმცა ვერაფერს არჩევდა გარეთ, ისევ ფანჯარასთან იჯდა.

ჭიშკარი წამით განათდა. პირჯვარი გადაიწერა. მომჩვენაო – იფიქრა. შუბლით ფანჯრის მინას მიაწვა. არა, ყური ნამდვილად არ ატყუებდა. კარებზე ვიდაც ფრთხილად აკაკუნებდა, შემდეგ კარებს ფრთხილადვე, მაგრამ მოუღი ძალით მოაწვა. სახელდახელოდ ჩაკეტილი კარიც გაიღო.

– ვინ არის? – რუსულად შესძახა შიშატანილმა ალექსეევანამ.

მოსული მოხუცის ხმას სანთებელათი გამოყოფა. მის შუქზე ალექსეევანამ თავზე შავწაქრული "ბოვეიკი" დალანდა. "ბოვეიკმა" სანთებელა ლოგინზე მიავლო. შიშისგან გაღუული მოხუცის წინ ჩამოხვდა, თავი კალთაში ჩაუდო და აქვითინდა.

– რომელი ხარ? – ახლა მეგრულად იკითხა უფრო შემინებულმა ალექსეევანამ. ბევრი ჰყავდა ქართველი მეზობელი ნათესავებიც და აღზრდილებიც. თავზე ორივე ხელი შემოხვია.

– ვლადი ვორექ, ტოტია (ვლადი ვარ, ბიცოლა), – მეგრულ-რუსულად აფხაზური აქცენტით უპასუხა "ბოვეიკმა".

ალექსეევანამ გონება დაკარგა. ვლადი მისი უმცროსი მამისსიშვილი იყო, მას დაეღუპა ორი ვაჟიშვილი. მან გაღუული მოხუცი ხელში აიტაცა. ჯერ სახლისა და შემდეგ ეზოს კარები სიფრთხილით გააღო და ასევე მიხურა. ვლადი მარტო არ იყო. მანქანის კარები შიგნით მდგომარეობად გაუღო. ჩქარობდნენ. მოხუცი უკანა სავარძელში ჩახვეს. შიშობდნენ, არავის შეენიშნა. მანქანა მოწყვეტით გააქანეს.

თითქმის ორი წელი ეძებდნენ ალექსეევანას კვლავ მისი მრავალრიცხოვანი ახლობელი-ნათესავები. ყველა თავს იდანაშაულებდა...

სრულიად შემთხვევით რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში აფხაზი და ქართველი შუქურელი მეზობლები ერთმანეთს შეხვდნენ. ყველა მეზობელი მიიკითხ-მოიკითხეს. ჯერი ალექსეევანაზე რომ მიდგა, ქართველმა მისი ახლობლების დიდ გულის-ტკივილზე უამბო. აფხაზმა ამცნო – ჩვენც გვიან გავიგეთ, რომ ალექსეევანა მის ეშერელ მამისსიშვილებთან ცხოვრობდა და ამ ერთი წლის წინ გარდაიცვალაო.

ოჯახი დიდხანს ცდილობდა ვლადისთან დაკავშირებას, მაგრამ ის თავს იკავებდა ბიძაშვილთან შეხვედრას. დიდმა სიყვარულმა მაინც სძლია გულისწერმას.

შეგნებულად და მისი უსაფრთხოებისთვის არ ვასახელებთ იმ ზნემაღალი აფხაზი კაცის ვგარ-სახელს. ბიძაშვილ-მამიდა-შვილობა და-ძმობის ტოლფასია. მან მიუხედავად იმ დიდი ტრაგედიისა, რომელიც მის ოჯახს თავს დაატყდა, გაისიგრძეგანა ის უბედურებაც, რაც ბევრმა ქართულმა ოჯახმა, მათ შორის ალექსეევანას საახლობლომ იწვნია – ამ ომში მისი დისშვილიშვილი და რამოდენიმე ახლობელი დაიღუპა.

ეს ძმთამკვლელი ომი იყო. ალექსეევანა ასტამურისა და მისი აფხაზი ნათესავების გვერდით განისვენებს. მისი საფლავის ქვაზე ამოტვიფრულია ქართული და აფხაზური გვარები ნიშნად ამ ორი ხალხის სამარადისოდ ერთად ყოფნისა.

ნათუნა ბოგუა,
აფხაზეთის არ დამსახურებული ჟურნალისტი

გაეცანით უზო-უკვლოდ დაკარგული ქართველი მეომრების გვარებს, რომელთა პირადი მონაწილეობა აქამდე საიდუმლოდ ინახებოდა



ინტერნეტსაიტი AMBEGI.GE დიდი ხანია, მკითხველს მეორე მსოფლიო ომში უზო-უკვლოდ დაკარგული მეომრების შესახებ აწვდის ინფორმაციას, მათი დაღუპვის თარიღსა და დაკარგვის ადგილმდებარეობას და ა.შ. ამ ხნის მანძილზე ძალიან ბევრმა აღამიანმა იპოვა თავისი წინაპარი და მათი ნეშტის სამშობლოში გადასვენებაც დაგეგმა...

მას შემდეგ, რაც ქერხსა და ყირიმში სამარხები გაიხსნა და ასევე, აქამდე დაღუპული არქივები ხელმისაწვდომი გახდა, პერიოდულად ვეწვდით ინფორმაციას იმ აღამიანებს, ვინც ოჯახის წევრებს უზო-უკვლოდ დაკარგული ეკონათ...

1 ოქტომბერს, ქალაქ სევასტოპოლში, სამხედრო დასახლებაში, სამშენებლო სამუშაოების დროს, წითელარმიელის ნეშტი იპოვეს... სპეციალურ სამძებრო კომისიასთან დაკავშირების შემდეგ, აღმოჩინეს მეომრის მედალიონიც, რომელმაც დროს გაუძლო და მფლობელის გვარი "შემიხანა..."

მედალიონი კვირისი სინას ძე მხარბაძის ეკუთვნის (მეუღლე ზ. მუჯირი), რომლის მისამართიც კომისიის წევრებმა არქივში მოიძიეს. ის 1922 (ან 1921) წელს, მხარბაძის (ახლანდელი ოზურგეთის) რაიონის სოფელ ნათუბილევში დაიბადა. საგაღვებულ სამსახურში 1941 წლის 13 აგვისტოს გაიწვიეს. საზღვაო ქვეითთა მე-7 ბრიგადაში, შავი ზღვის ფლოტში მსახურობდა და სევასტოპოლის ბრძოლებისას, 1941 წლის 29 ოქტომბრიდან, იმავე წლის 8 ნოემბრის შუალედში დაიკარგა.

ტყვედით კომისიის წევრების თქმით, ნეშტი დროებით სამხრეთ სასაფლაოზე გადასვენეს და ოჯახთან დაკავშირებას ცდილობენ... ის აქამდე უზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა.

ასევე, უზო-უკვლოდ დაკარგული ქართველების დოკუმენტები იპოვეს ქალაქ ტაგანროგის საარქივო მასალებში. არსებული ინფორმაციით, ომის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების ბრძანებით, მათი პირადი საბუთები უნდა დაეწვათ, თუმცა, არქივის მამინდელმა პერსონალმა დოკუმენტაცია საიდუმლოდ შეინახა. მათ მხოლოდ ახლა იხილეს დღის სინათლე...

გაგეგმივ პართენი (პარმენი) აბაშის რაიონი, სოფელ ქოლობანი (დაბადების წელი მითითებული არ არის)

წულაია მარტოლაი (ან მარტილა), ფილიპეს ძე, დაბადებული 1905 წელს, აბაშის რაიონი, სოფელ სუჯუნაში.

კონიაშვილი სოლომონ დავითის ძე, ქარელის რაიონი, სოფელი გარონი(?)

კობაძე ლეონიდე ვახტანგის ძე, ქარელის რაიონი (იგივე სოფელი).

მაღლაძე (მაღლაძე) ლომინტი ანდრეის ძე, დაბადებული 1905 წელს, სამტრედიის რაიონის სოფელ ჭოგანარში. ბლიაძე (პლამაძე) პლატონ ბაბრიძის ძე, დაბადებული 1902 წელს, სოფელი კუიდი (?) ან ახალციხის რაიონის სოფელი გორგოწმინდა.

ხაჩიძე ვლადიმირ კონსტანტინის ძე, დაბადებული 1900 წელს ბორჯომის რაიონის სოფელ სადმურში, მეუღლე თამარ ნიკოლოზის ასული...

კოლაძე ანდრეის პარტიკონი (მარტიკონი ან პარტიკონი) ძე, დაბადებული საჩხერეში. ტატუაშვილი დავითი, ივანეს ან ნიკოლოზის ძე, დაბადებული 1905 ან 1906 წელს, გორის რაიონის სოფელ ფლაგში.

ცხატაშვილი (ან წითაშვილი) აბრამ კნეზის ძე, სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში.

ჩანტოვაძე (ნოზოვაძე) ვარლამ მიხეილის ძე, ქუთაისი, სოფელ ანურჩხი.

ჩუბინაშვილი (ჭონიშვილი) ბრიკოლი ლეონის ძე, დაბადებული 1915 ყვარლის რაიონში.

ამასთან ცნობილი ხდება, რუსეთ-ფინეთის ომიდან, გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრილი ქართველი ფარმაცევტის, გიორგი არჩილის ძე სეხნიაშვილის საოცარი ისტორია, რომელიც თბილისში, პლენანოვის № 80-ში ცხოვრობდა. მეუღლე – ნინა სერგეის ასული. შვილების შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

1907 წელს, საქართველოში დაბადებული გიორგი სეხნიაშვილი, ქალაქ ტაგანროგში, 1941 წელს, უზო-უკვლოდ დაიკარგა. ფარმაცევტი, თავის სპეციალობით, საბჭოთა არმიაში 12 წელი მსახურობდა. ის სსრკ-ფინეთის ომის მონაწილეც იყო...

მეორე მსოფლიო ომის დროს, ის ქალაქ ბერდიანსკის ალყის დროს გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს... როგორც მისი ფრონტელი მეგობარი, ებრაელი ოფიცერი იხსენებს, მან ქართველი ფარმაცევტი გერმანულ ბანაკში, როსტოვის ოლქის, სოფელ ლატონოვოში გაიცილა. მისი თქმით, ის მას ლუკას უყოფდა. როდესაც გერმანელმა ოფიცერებმა, ის ებრაელი ოფიცრის მფარველობის გამო, გააფრთხილეს და დახვედრით დაემუქრნენ, მან ებრაელთან ერთად ბანაკიდან გაქცევა დაგეგმა...

"როგორც კი ბანაკიდან გასვლის საშუალება მოგვეცა, გავიპარეთ. რა დროსაც მიმეღ დაიჭერი და გიორგი არჩილის ძემ, ქალაქ ტაგანროგის უახლოეს საავადმყოფოში, რამდენიმე კილომეტრით ზურგით მიტარა. ჭრილობასთან ერთად, ტიფითაც ვიყავი დაავადებული..." – იხსენებს ებრაელი ოფიცერი, რომლის თქმითაც, ტაგანროგში, სეხნიაშვილსაც ტიფი შეეყარა.

"იგი ძალიან განათლებული და კარგი მოსაზურე იყო... სწორედ იქ გაიგეს, რომ სპეციალობით ფარმაცევტი იყო და საავადმყოფოში დატოვეს... ადგილობრივი რენტგენოლოგის, გვარად ლაურის დახმარებით, მან ქალაქი პარტიკონი გაიცილა. სწორედ მათ დაავადეს ექიმების იატაკქვეშა ორგანიზაციის ჩამოყალიბება... მედიკოსები, სამედიცინო საწყობში, იარაღს მაღავედნენ... გიორგი, რადიოს საშუალებით იღებდა ინფორმაციას და მათ ფრონტის ამბებს აწვდიდა. მას ხელში საბუჯდი მანქანა ჩაუვარდა და პროკლამაციებს ავრცელებდა... მან ძალიან ბევრი დაჭრილი მეომარი სიკვდილს გადაარჩინა.

ამასთან, მას ხელი მედიკამენტებზეც მიუწვდებოდა და "ქალაქის პარტიკონებს" აწვდიდა... იგი გაყვალბებული დოკუმენტაციით, სამხედროების გაქცევას გეგმავდა... თუმცა, 1943 წელს დააპატიმრეს, მან გაქცევა კიდევ ერთხელ სცადა, თუმცა არ გამოუვიდა. 1943 წლის 12 ივნისს, ქალაქის გათავისუფლებამდე 2 თვენახევრით ადრე, გერმანელებმა დახვერიტეს..."

ლალი პაპასძირი

პარაღვლები

რამ ბამახსენა?
ორ დიდებულ ძმას – ჩვენი დღეების მიქელანჯელოს, სულგანათლებულ მერაბსა და მის ღვიძელს, ბატონ ელგუჯას არასდროს არაფერი ჰქონიათ საერთო „რესპუბლიკელ“ ბერძენიშვილებთან, მით უფრო ჭეშმარიტად დიდი ხელოვანის – ზურაბ წერეთლის შესახებ ლევან ბერძენიშვილისეულ უაზრო პრეტუნთან დაკავშირებით.

(*ასტროლოგიური განმარტება*)
ისეთი ჰქონდა ცუგოს იერი, რომ გარეგნობით არაუშავდა, ოღონდ ეს არი, მასზე ძლიერი არ გაუშვა, რომ არ აუშარდა.

ერთხელაც ყვეფთ წასწავდა უჩინად და ნამდვილ ნაგავს კანჭზე უკბინა.

ღრენა არ წასცდა „მსხვერპლს“ სააუგოდ, თითქოს რა მოხდა და რა დაშავდა?! ასწია ფეხი და დინჯად ცუგოს პირდაპირ თავზე გადააშარდა.

იმ დროს ნანახი ანალოგს ირეკლს და გენიოსებს რომ აუშარდნენ, ყველა მათგანი მაგონებს იმ ლეკვს, თავხედობა რომ გადაუშარდეს!
ალექსანდრე შინბელია

15 წლის წინათ მე და ჩემი სიყრმის მეგობარი, თანამერხელი ბიჭი მიხან-ღარი, ფირზე, მასპინძელთან – ბატონ მირაბ ბერძენიშვილთან ერთად, სამხატვრო აკადემიაში ამ ორი პროფესორის აღზრდილმა და დღეს უკვე ცნობილმა მხატვარმა, ქალბატონმა ციცინო ელიშვილთან ადგებოქდა.



...ამას მოითხოვს ჩვენგან ამ დღეებში ტრაგიკულად გარდაცვლილი ჩემი მეგობრის და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, თამაზ ჟორჟოლიანის სულიც!..

...გასული საუკუნის 80-ანი წლების მიწურულის და 90-იანი წლების დასაწყისის ეროვნული მოძრაობა ნამდვილად არ ყოფილა უსამელოდ გულუბრყვილო, მიამიტ მამულიშვილთა მოძრაობა, როგორც ეს ზოგიერთ „ჭკუისკოლოფს“ დღევანდელი გადასახედიდან სურს წარმოაჩინოს... საქმეც იმაშია, რომ ამ მოძრაობის ძირითად ბირთვს (მიტმასნილები არც მყავს სათვალავში) პრინციპში მშვენივრად ჰქონდა გათავისებული არსებული რეაქციების სირთულეები... თუმცა, სხვა საკითხია, რომ ეს მოძრაობა მაინც იყო გარკვეულწილად რომანტიკული შეფერილობის, მაგრამ რომანტიკულობას და სიბრყველეს შორის ნამდვილად არსებობს არსობრივი განსხვავება... დიახ, ჩვენ რომანტიკოსები ვიყავით, მაგრამ იმ პერიოდში ნამდვილად გამოვხატავდით ჩვენი ახლის მისწრაფებას, რომ ხალხებს ეროვნულ-ტრადიციულ და მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფო-

ბრივი დამოუკიდებლობა... დიახ, ჩვენ ვიყავით რომანტიკოსები და ვუფიქრობდით, რომ მსოფლიო მიუხედავად ყველაფრისა ვინც იყო იმაზე უკეთესი, ვიდრე ის სინამდვილეში აღმოჩნდა... მსოფლიო პოლიტიკის მამებიც შედარებით წესიერები, ნამუსიანები გვევლინა... გვწამდა, რომ ამ ციხეკეშეთში ნამდვილად შეიძლებოდა კაცობრიობას ბედნიერად ეცხოვრა... გვწამდა, რომ ჩვენს სამართლიან მისწრაფებას ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, ე. წ. თავისუფალი სამყაროც მათთვის ჩვეული პრაგმატიზმის თუ ორმაგი სტანდარტების მიუხედავად ბოლოსდაბოლოს ანგარიშს გაუწევდა და მხარსაც დაუჭერდა... გვწამდა, რომ თითოეული დიდი თუ პატარა ერის თავისუფლად და პარმონიულად თანაცხოვრებაც ნამდვილად იყო შესაძლებელი... შესაძლოა ჩვენი ერთ ზედმეტად იმპულსური რომაა – ესეც ნაკლებად გვექონდა გათვალისწინებული... მაგრამ, კვლავ მინდა ხაზი

გავუსვა: ეს არ იყო გულუბრყვილობა! ეს მითუმეტეს არ იყო სიბრყველი! ბოლოსდაბოლოს ჩვენი სამშობლო დე იურე დამოუკიდებელი სახელმწიფო რომაა – ეს უწინარესად იმ ეროვნული მოძრაობის დამსახურებაა! აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ეროვნული თვითმყოფადობის გადასარჩენად და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხარისხის ასამაღლებლად, გლობალიზაციის ამ მდგრად ჭაობში შედარებით სუფთა, უსაფრთხო ალავის პოვნა უნდა გახდეს დღეს ჩვენი უპირველესი ამოცანა! აი, თუ რამდენად მოახერხებს ამ ალავის პოვნას მრავალათასეული საუკუნეთა ქართველების გამოღწეული ჩვენი კოლხურ-იბერიული ჯიში და ჯილაგი – ამას უახლოესი წლები დაგვანახებს... დიახ, უახლოესი წლები, რადგან არ მინდა ავის წინასწარმეტყველი ორაკუნული წამომივიდეს, მაგრამ სულ მალე შესაძლოა ჩვენი ხალხის ისტორია ძალიან საგადალოდ დასრულდეს!..

ჭეშმარიტი სახელმწიფოებრიობა! მწამს, რომ ესაა იდეალი! მწამს რომ, ამისთვის ღირს სიცოცხლეც და რასაკვირველია ბრძოლაც!.. მწამს რომ, ჩვენი ხალხიც თავის გაინთავისუფლებს სუიციდის სინდრომისაგან! მწამს, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი! მწამს, რომ ამას მოითხოვს ჩვენგან ამ დღეებში ტრაგიკულად გარდაცვლილი ჩემი მეგობრის და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, თამაზ ჟორჟოლიანის სულიც!..
ზურაბ კვარაცხელია, ზუგდიდი

სახალხო მოძრაობა „სამშობლო“ ზუგდიდის ორგანიზაცია უდიდესი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი
თემურ ძორიძე
უფალმა გაანათლოს მისი სული...

სახალხო მოძრაობა „სამშობლო“ ზუგდიდის ორგანიზაცია უდიდესი მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი
თამაზ ჟორჟოლიანი
უფალმა გაანათლოს მისი სული...

უკვირფასეს ნელსასხეალებზე სურნელოვანი

შარშანწინ, ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩემმა უსაყვარლესმა პოეტმა და რედაქტორმა ისეთი ლექსი დაბეჭდა, რომ სულით ხორცამდე შემძრა და მათქმევინა ის, რაც ამავე გაზეთმა 2015 წლის 30 დეკემბერს ბატონი ჯანსუღის პორტრეტთან ერთად გამოაქვეყნა. აი, ისიც!

ჯანსუღ ჩარბიანს

ექსპრთმეტი, რომელიც დაბადა საქართველოს სახალხო პოეტის ჯანსუღ ჩარბიანის სიტყვებში: „როგორც უფალს ვერ წაართმევ ქრისტიანს, საქართველოს ვერ წაართმევ ქართველს“.

სახალხო ხარ, თუმც ცხოვრება ხისტია, არ მოსწონხარ „ცისფერებს“ და „ქათმებს“;

ვაჯაკობა ვერ წაგართვეს ქრისტიანს, შენი ლექსი ვერ წარსტაცეს ქართველს. მერე რა, თუ ზოგს თვალბეზე ბისტია აქვს,

არწივიც გვაგს და ლამაზი მართვეც; ღმერთო, რწმენას ნუ წაართმევ ქრისტიანს,

ჯანსუღის ლექსს ნუ მოაკლებ ქართველს!

ეს რომ წაუკითხავს, რედაქტორისათვის დაურეკავს, რათა ჩემი კოორდინატები დაედგინა და მადლობა პირადად ეთქვა.

ამას შემთხვევით არ ვიხსენებ. ყოველთვის და ყველასთან გამორჩეულად ყურადღებანი გახლდათ და თანაც არა მხოლოდ იმათ მიმართ, ვინც მასზე ან მის ოჯახზე იტყოდა კეთილ სიტყვას, არამედ ყველასადმი, განსაკუთრებით კი იმის მიმართ, ვინც მისი რედაქტორობით გამოშავდა „ცისკარს“, „დროშას“ და გაზეთ „ქართულ სიტყვას“ სასურველ მასალას მიაწვდიდა. ამის მოწმე და მხახველი მრავალჯერ გავმხდარვარ და, შორს რომ არ წავიდე, ამჯერადაც საკუთარ მბგავლის დავასახელებ. 1995 წლის სექტემბრის ბოლოს ისრაელში მივლინებდნენ დაბრუნებულმა „დროშის“ პა-

სუხისმგებელ მდივანს, პოეტ ვასო გვერტაძეს ნარკვევი გადაეცემა.

– რა დაარქვი? – დაინტერესდა თანამშრომლის კაბინეტში შემოსული ბატონი ჯანსუღი, ვიდრე მასალას გამოართმევდა და გადათვალთვლებდა.

– „პირდაბანლი მზის სადღვერემლო“.

– რატომ? – გაიკვირა.

– სასწაულებრივი ამბის მომსწრე გავხდი, ბატონო ჯანსუღ! ისრაელში, სადაც წელიწადის ამ დროს წვიმა არასდროს მოსულა, იერუსალიმის სიახლოვედ დღევანდის წინა საღამოს ნამდვილი თავსხმა იყო და დილით ქალაქის ცა იუბილეს დაწმენდილი თვალეებით შეეგება.

– საინტერესო დამთხვევაა!

მადლობა? მადლობა იმ დღეს არ თქმულა. მაშინ ჩვენი შეხვედრა საოცრად ემოციური დატვირთვით ნათქვამი ამ ორადროს სიტყვით ამოიწურა, რამდენიმე დღის შემდეგ კი ყოველგვარ მთლიანად აღმატებული პონორით.

საერთოდ ბატონ ჯანსუღზე, როგორც რედაქტორზე, ბევრი კეთილი სიტყვა შეიძლება ითქვას, რადგან ჟურნალისტის პროფესიული თვალთ დანახული მოვლენები მის პოეზიას მამულიშვილური შემართებით ერწყმის და ერთ დიდ მთლიანობად აღიქმება.

* * *

სოლომონ ბრძენით დავითის ძე და თვალდაც უბრძნესი მეფე კოპლეკით, რომელიც ბერძნებმა ეკლესიასტად „მონათლეს“, ბრძანებდა: „კარგი სახელი სჯობია კარგ ნელსასხეალებს და სიკვდილის დღე დაბადების დღეს“.

ეს სიტყვები უმკაცრესად, მაგრამ უზუსტესად არის ნათქვამი, თუმცა ამ წუთებში აუტანლად ძველი მოსახლენია, რადგან დღას განშორების წამებში... და მაინც თითოეულ ჩვენგანთან ნუგემად რჩება იმედი, რომ უკვდავია სული ჭეშმარიტად სახალხო პოეტისა, რომლის სახელი ყველაზე უძვირფასესი ნელსასხეალების სურნელით მთაწმინდამდე ამდღდა!

ალექსანდრე შენბელია

მოქალაქეობის არმქონე სააკაშვილს ბრალად ედება...

„ნაცების“ მორიგი სქემა და გია ბარამიძის, ანუ აფრასიძეთაძეების შეუვალი პოზიცია – თურმე მისი სააკაშვილს ვერც საქართველოში და ვერც უკრაინაში ვერაერთარი დანაშაული ვერ აღმოუჩინეს, რომ ოლიგარქების მიერ შეითხინილია ბრალდებები პიჯაკების, სამგლოვიარო გვირგვინებისა და ახანოს საანბნზე. თურმე მისი იმდენად წმინდანია, მეტი ვერაფერი მოიფიქრეს“, – ამის შესახებ სტატიას სააგენტო „ექსპრეს-ინფო“ აქვეყნებს:

„ბარამიძე და მისას სხვა მიმდევრებიც სირაქლემობას თამაშობენ, თავები ქვიშაში აქვთ წარგული და ჰგონიათ, უკანალები არ უნანთ. მათი გაცხელებული ჭკუით, 9 წლის განმავლობაში საქართველოს 300 ათასმა მოქალაქემ თავად გაისამართლა თავი, ბიზნესმენებმა და სხვებმა ნებაყოფლობით ჩააბარეს ქონება სახელმწიფოს, მიიყენეს თვითდაზიანებები და ციხეებში აწამეს ერთმანეთი. 150-მა ახალგაზრდამ ქუჩაში თავად ჩაიციხრნა თავი. საქართველოს მოქალაქეებმა ასევე გაიუპატიურეს თავები და ვიდრე გადვიდეს, შემდეგ კი დაამზადეს 27 ათასი ფაილი და შეინახეს კარგებში.“

ამრიგად, ამჟამად მოქალაქეობის არმქონე მიხეილ სააკაშვილს, დაბადებული 1967 წლის 21 დეკემბერს, ქ. თბილისში, ყოფილ პრეზიდენტს, ბრალი ედება არაერთი დანაშაულის ჩადენაში, რაც ისჯება საქართველოს სს კოდექსის შემდეგი მუხლებით:

მუხლი 161 – შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა, უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, იარაღის გამოყენებით, რამაც გამოიწვია მასობრივი არეულობა, სიცოცხლის მოსპობა და სხვა მიმე შედეგები. ეს დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე.

მუხლი 154 – ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

მუხლი 162 – არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლენისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა. ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

მუხლი 1641 – ამომრჩევლის მოსყიდვა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე

მუხლი 1643 – არჩევნების გაყალბება, ის-

ჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე. მუხლი 159 – პირადი მიმღწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა. ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

მუხლი 160 – ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა. ჩადენილი ძალადობით ან მუქარით. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე.

მუხლი 1443 – დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყვანა. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვს წლამდე.

მუხლი 332 – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ. ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვა წლამდე.

მუხლი 181 – ქონების გამოძალაფა. ისჯება თავისუფლების აღკვეთით თერთმეტ წლამდე.

მუხლი 147 – ადამიანის განზრახ უკანონოდ დაკავება ან დაპატიმრება. ისჯება თავისუფლების აღკვეთით თორმეტ წლამდე.

მუხლი 345 – საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლა, რამაც გამოიწვია მიმე შედეგები. ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვა წლამდე.

მუხლი 310 – საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა. უცხო ქვეყანასთან ან უცხოეთის ორგანიზაციასთან ისეთი ურთიერთობის დამყარება, რომლის მიზანია საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების ან აგრესიის სხვა აქტის მომზადება ან განხორციელება. ისჯება თავისუფლების აღკვეთით თხუთმეტ წლამდე.

მუხლი 312 – საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა. სამხედრო ტექნიკის ან სამხედრო ობიექტის დაზიანება, მწველობიდან გამოყვანა ან განადგურება, ჩადენილი ომიანობის ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ოც წლამდე.

მუხლი 109 – განზრახ მკვლელობა დამამიმბეებელ გარემოებაში, ორი ან მეტი პირისა, განსაკუთრებული სისასტიკით. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ოც წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

ამ დანაშაულში ბრალდებული სააკაშვილი გვევლინება ორგანიზატორად, წამქეზებლად ან დამხმარედ. რა სამგლოვიარო გვირგვინები, რომელიც პიჯაკები? ეს ადამიანი გახლავთ პირწავარდნილი სისხლის სამართლის დამნაშავე? – ნათქვამია სტატიაში.

თანაგედროვე ქართველი მამულუაბი



კონტრაქტის დამთავრების შემდეგ, ფაქტობრივად, ქართველი ჯარისკაცების ბედი გაურკვეველია. მათ სამსახურის შოვნა უჭირთ და სამოქალაქო ცხოვრებაში მათი დაბრუნებაც რთულია. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნისას ქართველ ჯარისკაცებს მხოლოდ ერთგვარი კომპენსაცია ეძლევათ, სამხედრო პენსია კი მხოლოდ 20-წლიანი ნამსახურების შემდეგ ენიშნებათ. გამოდის, რომ, თუკი სამხედრო სამსახურს 20 წელზე ადრე დაანებებ თავს, ნამსახურების წლები აღარ გეთვლება და არც ჯარში მიღებული შენი ცოდნა გამოადგება ვინმეს. შესაბამისად, ერთადერთ გამოსავლად „კომერციული არმია“ რჩება, რომელიც მოქმედებს ერაყში, ავღანეთში, აფრიკაში... დაქირავებული ქართველი მებრძობიც ან სხვის ომში იბრძობა ქართველი მამულუაბობით, ან უცხო ქვეყნის კერძო კომპანიებს იცავენ თავდამსხმელებისგან. როგორც ამბობენ, დაქირავებული მებრძოლების ანაზღაურება თვეში დაახლოებით 3 ათას აშშ დოლარს შეადგენს. ქართველი მებრძოლისთვის ოჯახის შენახვის მიზნით ამ კომპანიისზე წასვლა, თუნდაც უცხო ქვეყანაში გადახვეწის საფასურად, ღირს. მიმე დემოკრატიის მქონე ჩვენი თანა ქვეყნისთვის პრობლემურია საკითხი, თუ რატომ უნდა მუშაობდეს ქართველი სხვისთვის და სხვის ომში იღუპებოდეს? ამის შესახებ ინტერნეტსაიტი For.ge ანალიტიკოსის სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში, ბრიგადის გენერალ ამირან სალუქვაძეს ესაუბრა.

მამულუაბობის ამბავი საქართველოს ტრადიცია იყო. თუმცა, როგორც ჩანს, ეს დღეს უკვე აღარ არსებობს. ქართველი მამულუაბი ქართველები სხვის ომში იღუპებიან. ამ პრობლემას ჩვენთვის უფრო გლობალური ხასიათი აქვს. რატომ ვერ ვახერხებთ კადრების შენარჩუნებას და პროფესიონალებს ავდივს ძალიან სწორად რატომ იკავებენ არაპროფესიონალები?

– საკადრო გადინება ძალზე სერიოზული პრობლემაა. 2005 წლიდან მოყოლებული დღემდე ძალიან დიდი საკადრო რესურსი დაკარგეთ. როცა ოფიცრების მასობრივი გასვლა დაიწყო, მეც მათ პირველ ტალღაში მოვხვდი. ჩემზე აღარაფერი ვამბობ, თუმცა დაგვანება კაცს, როცა 7-წლიანი სამხედრო განათლება გაქვს მიღებული, 30-წლიანი სამსახურებრივი სტაჟი გაგანია და შენი გამოცდილება არავის ჭირდება. ამ ცოდნასა და გამოცდილებას ერთ დღეში ვერაფერს გადასცემ. ეს ხომ არაა ციფრული ინფორმაცია, რომ მეხსიერებაში ჩაუწერო. არ მოსწონთ ხომლე ასეთი შეფასებები. მართლაც თაობათა დიდი ცვლა მოხდა უშიშროებაში და ძალიან და ავანტიურის ომში ჩვენ გულად ვიგეგმეთ ამ ყველაფრის საფასური. ყველამ ვნახეთ, რამდენ დღეს შევძელით წინააღმდეგობის გაწევა. ფაქტობრივად, ჩამოიშალა ჯარის მმართველობა. ამ დროს ჯარის აღჭურვაზე დიდალი თანხები დაიხარჯა.

იმ პერიოდში ჯარიდან დათხოვნის პოლიტიკური მიზეზები არსებობდა.

– სწორედ მაშინ დაიწყო რაღაც იარაღიების ჩამოკლება – „საბჭოთა განათლება“, „საბჭოთა ოფიცრები“, რაც ასობით დამსახურებული ოფიცრის უპატივცემულობა იყო. ახლახანს ჩვენ დავასაფლავეთ 25 გმირი. მუდმივად საუბრობენ ცნობად სახეებზე – გურამ გაბესკირიაზე, მაია ალასანიასზე, მაგრამ მათთან ერთად იყო კიდევ 23 სხვა პიროვნება, რომელთაც საზოგადოება ნაკლებად იცნობს. სამაგიეროდ, იცნობს ვიწრო წრე, იცნობენ მათი ყოფილი თანამებრძოლები. ავიღოთ, თუნდაც, ზემოთ ხსენებული ეს ორი პიროვნება, რომე პოლკოვნიკი გახლდათ, იმ დღეს ხომ არ მიუღიათ ეს პოლკოვნიკობა? მაშინ ალასანიას გახლდათ ყოფილი კეზი, ანუ უშიშროების პოლკოვნიკი. არ იყო იგი გმირი? კვბ-ზე მუშაობდა და მაგიტომ იბრძოდა იქ? რამდენი ასეთი იბრ-

ძოდა აფხაზეთში?! ისინი ხომ საბჭოთა არმიის, საბჭოთა სისტემის ოფიცრები იყვნენ. მაგალითად, ქართველი სამხედრო მფრინავი, პოლკოვნიკი იზანი ცერცვაძე 1993 წლის 23 სექტემბერს სოხუმის რაიონში, სოფელ თაყაყაფურებასთან ჩამოვარდეს და დაიღუპა. ამ პიროვნებამ წარმატებული კარიერა მიატოვა რუსეთში, სადაც პოლკის მეთაური იყო. ჩემთვის ის ერთ-ერთ მბავალითად ითვლება. უამრავი ასეთი ადამიანია, რომელთა მიმართაც არაკეთილხინდისობა იარღიებების ჩამოკლება, თუ არ გაქვს შესაბამისი საფუძველი.

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, 1992-93 წლებში 1.137 ოფიცერი ჩამოვიდა საქართველოში რუსეთიდან, საბჭოთა ჯარიდან. საუბარია კადრის ოფიცრებზე, რომლებმაც დატოვეს რუსული არმია და ჩამოვიდნენ. რა ელოდა ამ ხალხს? ომი და განრეკთხობა, უშუქობა და უბედურება. თუმცა ვინ დაუფლავს? იყო პიროვნული მომენტებიც, ვიღაცას კარიერის აწევა უნდოდა და ამ დროს, როგორც წესი, კვადრეტიკული ხალხი ხელს უშლით ხოლმე. ამ ადამიანების მოცილება სწორედ იარღიების მიწებებით იყო. მთლიანობაში, ეს მაინც პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. აბა, როგორც ახლა ეახან, ტესტირება არავის ჩაუტარებია და ჩვენი კვადრეტიკალი არავის დაუღებია. იმ წლებში დაიწყო და დღემდე გრძელდება კადრების გადინება. ახლახანს, ზამთარში გამოვაქვეყნე, თუ ვინ დატოვა სამხედრო საპაერო ძალები, მალაი ელასის კვადრეტიკის ოფიცრები დაკარგეთ. ეს კომპლექსური პრობლემაა, რომელსაც სახელმწიფომ უნდა მიხედოს. არ მინდა, სტალინის ფრთიანი ნათქვამი გავიხსენო, კადრები წყვეტენ ყველაფერსო, მაგრამ ასეა. იმისთვის, რომ უკანონოდ ბრიგადის მეთაური, 12-15 წლიანი საჭირო. წარმოდგინეთ, როცა ყოველი მინისტრი საკუთარ „საკადრო პოლიტიკას“ ატარებს და არ არსებობს კადრების ხრდის სისტემა. ვინმეს წარმოუდგენია, ბანკში მივიდეს ახალი მმართველი, გაუშვას ყველა და მოიყვანოს ახალი ხალხი? სხვათა შორის, ბანკებს საკმაოდ სერიოზული საკადრო სისტემა აქვთ. რიგითი ოპერატორი გახდება ბანკის მმართველი? რატომღაც ჯარში გვეგონა, რომ შეიძლება მთელი სტრატეგიული და ოპერატიული ღონის მმართველი სახლში გაუშვა და ეს გავლენას არ

ქონიებს. ჯარში, ისევე როგორც ყველა სფეროში, გამოცდილება ფასობს. ეს საკანონმდებლო დონეზე დასარეგულირებელი, რომ ოფიცრების მარტივად გაშვება სახლში ფიზიკურად შეუძლებელი იყო. ქართველები კონტრაქტით მიდიან, მუშაობენ კერძო კომპანიებში ავღანეთში, ერაყში, აფრიკაში. სულ ახლახანს კონკრეტულ კონტრაქტით მომუშავე ქართველის ბედის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია გავრცელდა. ასე უახროდ იკარგებიან ჩვენი თანამემამულეები მაშინ, როცა საქართველოში ისტორიულად ყველაზე საპატიოდ ითვლებოდა მებრძოლის პროფესია.

– სხვათა შორის, სულ ახლახანს საქართველოდან წავიდა ძალზე კვალიფიციური მფრინავი, რომელიც გადავიდა უცხო ქვეყნის კერძო კომპანიაში. მიზეზები ყველგან ერთი და იგივეა. მარტივად ვეძებთ, მფრინავმა თუ არ იფრინა, ის კარგავს კვადრეტიკის და ეძებს ავდივს, სადაც შეიძლება საკუთარი თავის რეალიზება მოახდინოს. სადაც დაუძახებენ, იქ წავა, მით უმეტეს, თუ ანაზღაურება ნორმალური ექნება. რაც შეეხება კონგოს, საქართველოდან პირველი ნაკადი კონგოში მას შემდეგ წავიდა, როცა 2010 წლიდან ჩვენი გამოცდილი მფრინავები ერთი-მეორის მიყოლებით სხვადასხვა მიზეზით წამოვიდნენ ჯარიდან. ჯერ ერთმა გააკავა გზა კონგოსკენ, შემდეგ მეორე წავიყვანა. ასე მივიღეთ კონგოში საკმაოდ სოლიდური ქართული დესანტი. ეს ოფიცრები დღეს ქართულ სამხედრო ავიაციაში უნდა მსახურობდნენ.

ბევრი სამხედრო მფრინავი სამოქალაქო ავიაციაშიცაა გადასული. ზოგი „აირზენაში“ დაფრინავს, ზოგი სხვა კერძო ავიაკომპანიაში, ჩვენი ყოფილი მფრინავი „აეროფლოტ მიც“ დაფრინავს. ასე რომ, ჩვენმა არმიამ დიდი საკადრო დანაკარგი განიცადა, ნაცვლად იმისა, რომ გამოცდილი თაობა შეგვენარჩუნებინა. სწორედ მათ ბაზაზე უნდა განვითარებულიყო ქართული სამხედრო მეცნიერება, ისინი უნდა ყოფილიყვნენ დაკავებული ახალგაზრდა ოფიცრების მომზადებით. სახელმწიფო, რომელიც კადრებს ანიავებს, არ უფრთხილდება პროფესიონალებს, წარმატებას ვერ მიაღწევს.

მანანა ნოზაძე

სპორტული კუთხე მიჰყავს შურნაღის ბიორბი ჯალალანიას მსაჯმა თამაშის დაწყება რომ მანიშნა, გაჰქანა და პირდაპირ მას გაჰარტყი!



ცოტა ხნის წინ მკითხველს გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა წარუვადგინეთ. ბატონი მურთაზი დიდი დროის განმავლობაში ყოფილი სპორტული კავშირის ნაკრების კაპიტანი გახლდათ. დღევანდელ წერილში ისტორიის კუთხილი ამ გუნდის მეთვრამეტე კაპიტანს წარმოგიდგინებთ. ალბათ მიხვდით, საუბარი ალექსანდრე ჩივაძეზე გვექნება. ჩივაძის სახელის გაგონებაზე ბევრი ესპანეთის მსოფლიო პირველობის სსრკ-სოტლანდიის შესხვედრა და მატჩის მორე ნახვარში ჩივაძის მიერ გატანილი გოლი წარმოუდგება. იმ მატჩის პირველ ტაიმში ქართველმა მცველმა შეცდომა დაუშვა, მაგრამ იდგა არ გაწირა და ანგარიშის გათანაბრება თავადვე შეძლო.

მეტრეველის, სერგო კორტიკაძის, შოთა იამანიძის, მურთაზ ხურცილავას და „სიომა“ ბარქაიას თამაშით ვტკბებოდით – ისინი ჩემი კერპები იყვნენ! ხომ წარმოგიდგინათ, რას ვგრძნობდი, როცა 1973 წელს „დინამოში“ მიმიწვიეს?! „დინამოში“ მისვლის დღე გუშინდელივით მახსოვს: მაშინ ალიოშა კორტიკაძე იყო მთავარი მწვრთნელი, სერგო კორტიკაძე კი მეორე მწვრთნელად მუშაობდა. ნესტორ ჩხატარაშვილი გუნდის უფროსი იყო, დუბლეტთან, ანუ ჩვენთან კი ანდრო ზახროვი იყო მომადგურელი. სანამ „დინამოში“ დაგვტოვებდნენ, მკაცრი კონკურსი გავიარე, ორმხრივ შესხვედრაში მთელი მონაწილეობა: მეორე შემადგენლობა ძირითადად გვატამაშეს. ერთ მონეტში შევინიშნე, რომ მეტოქის მკვარე დავით გოგია კარიდან იყო გამოსული, მეც ავდექი და დაახლოებით 25 მეტრიდან ბურთი თავზე გადავუგდე! მატჩის მეორე კახი ასათიანმა მითხრა, ესე თუ გააგრძელებ დიდი ფეხბურთელი დადგებო. მისი სიტყვები ჩემთვის, 18 წლის ბიჭისთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა! მაშინ ჩემთან ერთად გონა და მანუჩარ მანაძიძეც იყო, ვლადიმერ გუცაევიც და ბესო მჭედლიშვილიცა ითამაშეს.

არავისთვისაა ახალი, რომ „დინამოს“ აღზევება გუნდში ნოდარ ახალკაცის მისვლის შემდეგ დაიწყო. პირველივე წელს დიდ წარმატებას მიაღწიეთ – საკავშირო ჩემპიონატში ორჯერ ბრინჯაოს მედლები მოვიგეთ და რაც მთავარია, ნანატრ თასსაც შევწვდით. მიმანია, რომ ახალკაცის „დინამოს“ პირველი მართალი მაღალი დონის მატჩი თასის ნახვარფინალი იყო, დონეცკის „შახტორთან“ პაექრობას ვგულისხმობ.

მაშინდელ და დღევანდელ რეჟიმს არც შევადარებ. იმ დროს პირველი გუნდის ფეხბურთელები წელიწადში მქსიმუმ სამი კვირა თუ ვისვენებდით, ახლა კი სხვა მიდგომებია. მაშინ პროფესიონალები არ გვერქვა, არავა მხოლოდ ფეხბურთით ვცხოვრობდით. პასუხისმგებლობა? „დინამოს“ ფეხბურთელი თუ იყავი, გაცილებით მეტი მოვითხოვებოდა, ვიდრე სხვა კლუბის მოთამაშეს – ჩვენ ხომ რესპუბლიკას წარვადგენდით ამხელა ქვეყანაში! ამას დაუმატეთ ისიც, რომ ჩვენ, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი გუნდის მოთამაშეები, მილიციის ოფიცრებთან ვითვლებოდით. აბა გაეგებო ვინმეს და რამე დაეშავებინა – პარტიურად გაქონდათ საკითხი! იყო ასეთი ფეხბურთელი, ვაგიზ ხიდიატულინი, მოსკოვის „სპარტაკში“ თამაშობდა – ერთხელ რაღაც მიქარა და პირდაპირ ჯარში გაუშვეს, არადა კაცი ნაკრების წევრი იყო! მსაჯთან უსიამოვნება? კი, ხედავოდა ხოლმე. ერთხელ მოსკოვში „ტორპედოს“ ვეთამაშებო, 5 წუთით დარჩენილი და ანგარიში 0:0-ია. უცხად მოსკოველებმა წესების უხეში დარღვევით გოლი გაგვიტანეს. ისეთი აბსურდული მომენტი იყო, მსაჯს გოლი არ უნდა ჩაეთვალი, მაგრამ მან ცენტრისკენ გაიშვირა ხელი. მეც თანაგუნდელს გაუძახე, ბურთი გადაიმოძღვრეთ! მსაჯმა თამაშის დაწყება რომ მანიშნა, გაეპქანე და პირდაპირ მას გაგარტყი! ამ ამბავს მოედანზე გაგრძელება არ მოჰყვა, მაგრამ თურმე შესხვედრას მთელი მაშინდელი სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობა ესწრებოდა და სამაჯიერო იმით გადამიხადეს, რომ 33 საუკეთესოს შორის მეორე ნომრად დამასახელეს. არადა, მანამდე სულ პირველი ვიყავი! კიდევ ერთ შემთხვევას გავიხსენებ, თუმცა ამ ამბავს მსაჯთან უსიამოვნება ნაკლებად ეთქმის: ბაქოში მუშკოველმა მოგონილი პენალტი დაგვინიშნა. როგორც კაპიტანი, მივედი და ვუბრუნე, ხვალ ამ ამბავს კოლოსკოვის კაბინეტში ერთად გავარჩევთ.

მეთქი. კოლოსკოვი მაშინ საკავშირო ფედერაციის ხელმძღვანელი იყო. მუშკოვეცი დაიბნა, არ ელოდა და უცხად, ვითომ არაფერი მომხდარო, მითხრა: ვინ გითხრა რომ პენალტია? პირიქით, თავისუფალი თქვენ უნდა შეასრულოთ. წამში შეცვალა გადაწყვეტილება! 1979 წელს საქართველოს ნაკრები, რომელიც ფაქტობრივად თბილისის „დინამო“ იყო, სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ფინალში გავიდა და მხოლოდ მოსკოვის ნაკრებთან დამარცხდა, მაღე კი „დინამოს“ მეორედ მოიგო თასი – მოსკოვის „დინამოს“ პენალტების სერიაში ვაჯობეთ. ამ ტურნირების გამო მოსკოვში თითქმის მთელი თვე დავგავით. მახსოვს, ნოდარ ახალკაცის მეგობარი, მაშინდელი თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ანზორ ბურჯანაძე ჩამოვიდა და ქართული პროდუქტები ჩამოგვიტანა. ამ ამბავმა ცოტა ხასიათზე მოგვიყვანა, თორემ საშინელება იყო ამდენი ხანი მოსკოვში ყოფნა.

მილოცვა!

ჩვენს უახლოეს მეგობარს, ქუთაისის საპატიო მოქალაქესა და ჭეშმარიტად გამორჩეულ მრეწველს არჩილ მურდულიას, რომელიც მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედიდან ოფიციალურად იყო აღიარებული ლეგენდარული დირექტორად და უამრავი საპატიო წოდება აქვს მინიჭებული, მისმა შვილმა და მძაღლმა – ეკა გაფრინდაშვილმა და თემურ მურდულიამ ახალი, ამასთან ყველაზე და ყველაფერზე სანუგეარო წოდება შემატეს: ტყუპი შვილიშვილების – არჩილ და ნუცა მურდულიების ბაბულებ!

გულითადად გილოცავთ, ძმაო არჩილ, ამ დიდ ბედნიერებას და რადგან შენი მრავალრიცხოვანი ტომეულებიდან ერთ-ერთს „მეგაზეთ“ „ილორისათვის“ ფინანსური დახმარების მსურველებს შეუძლიათ გადმორიცხონ თანხა შემდეგ საბანკო ანგარიზე: სს „ლიბერთი ბანკი“ ანგარიშის ნომერი: GE79LB0711188020717000 ანგარიშის №ვალუტაში: GEL / USD / EUR – მულტი სავალუტო ანგარიში მფო: 220101480

თამაზ შორჭოლიანის დაღუპვის გამო

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ზუგდიდის საკრებულოს ახლადარჩეული წევრის, ჩემი მეგობრის თამაზ შორჭოლიანის ტრაგიკული გარდაცვალების გამო. ვისხენებ იმ ბედნიერ პერიოდს, როცა ზვიად გამსახურდიას ეროვნული მოძრაობის ზღობის ჟამს თამაზ ზუგდიდის პრეფექტად დაინიშნა და მისი თხოვნით ლამის ერთი თვის განმავლობაში ვიმყოფებოდით ინგლისში, რათა ზუგდიდისათვის რამე სასიკეთო საქმე გავგვეკეთებინა. დიდი გემგები ჰქონდა, მაგრამ არ დააცალეს... თამაზ შორჭოლიანის სახით ქვეყანამ საზოგადოების ღირსეული წევრი დაკარგა. სამძიმარს ვუცხადებ თამაზ შორჭოლიანის ოჯახის წევრებს, მის ახლობლებსა და მეგობრებს. როლანდ ჯალალანია, გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორი

იუმორი

სვანს ცხენი დაეკარგა. ბევრი ეძება, ძალიან იდარდა და ბოლოს გული დაიმშვიდა – კიდევ კარგი, ზედ არ ვიჯექიო... * * * – ცოლი ვითხოვო! – ამბობს კახელი. – გილოცავ! რა ჰქვია? – ეკითხება მეგობარი. – რექსონა! – ეგ რა სახელია? – რექსონა ყველას სჯობია, ამას წინათ ტელევიზორმა გამოაცხადა: არასოდეს არ გიდალატებო! * * * თვითმფრინავის სალონში ჯარისკაცი დგას და გადმოსახტომად ემზადება. – პარაშუტის მოკიდება არ დაგავიწყდეს! – აფრთხილებს სერჟანტი. – პარაშუტი აუცილებელია? – ეკითხება ჯარისკაცი. – აბა რა, ვერ ხედავ როგორ წვიმს? * * * – რატომ ზიხარ მთვრალი საჭესთან? – ეკითხება პატრული ქუთაისელს. – აბა, რომ წამოვწყვე, ჩამეძინება, უფროსო!

სასაუკეთესო პრეპარატი „დომინოლი“ და „გაგენოლი“ მუღამი ჩინური თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში. დომინტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფერობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთოზს, ნერვოზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პეპტურ ნაწლავის გაფრთხილ სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქვანას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას. მეურნაღის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზა და დოდო. კოორდინატები: თბილისი, აჭყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან“), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე. ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48 მასთან სიტოცხლეზა ხელმძღვანელები მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 „ილორი“ რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარკმ. №01018002930 234-32-95 მითავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტელფონატორი 568-01-21-32 გაზეთი ხელმძღვანელოზ თავისუფალი პრინციპის პრინციპებით ავტორებს ემისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწილები ავტორებს არ უბრუნდებათ. ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).